# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 29 ივლისი 1998 №130 (665) ფასი 40 თეთრი

## ჩავა ჰუსენ დედია ფეხით ტირანადან შკოდერში?

### ერთადერთი საშველი ცივი შხაპია

კობა ინასარიძე
ტირანადან



სამვარსკვლავიან სასტუმრო „დაჯთის" მომსახურეთ ერთში კი ნაღდად ვეთანხმები — აქ ცხელი წყალი არ მოდის. იძულებული ხარ ცივი შხაპი მიიღო და ხუთიოდ წუთით მაინც გაგრილდე. თუმცა ეს სიამოვნება დროებითია, საკმარისია სასტუმროდან ფეხი გადგა, რომ თავი საუნაში გეგონება. დიახ აუტანელი სიცხეა, გუშინ, თერმომეტრი მგონი 40 გრადუსზე მეტსაც აჩვენებდა.

ადრიატიკის ზღვიდან ტირანა სულ რამდენიმე კილომეტრშია და სუნთქვას ესეც აძნელებს. ნესტიანი კლიმატის გამო აქაურობა დახუთულია, კაცი ერთთავად ოფლში ილვრება. ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, როგორც გითხარით „ჯადოსნური" შხაპია. თუ არ გსურს განწყობა წაგიხდეთ შხაპის ქვეშ უნდა იდგე. ასევე იქცევა დინამოელთა მთელი გუნდი. მოსასვენებელი ადგილი მხოლოდ ერთია — აბაზანა. დანარჩენზე აღარ ვიტყვი, ოდენ „დინამოს" მრავლისმნახველი ექიმის ზაქარია თელიას, გუშინ საუზმისას ნათქვამს გაგიმეორებთ — 40 წელია „დინამოსთან" ერთად მსოფლიოო შემომივლია. ალბანეთი კი სამუდამოდ დამამახსოვრდება აქაურის მსგავსი პირობები არსად მინახავს, განცვიფრებული ვარო. საუზმის მერე ექიმი, მურთაზ ხურცილავა და ნოდარ აკობია ფეხბურთელებს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ემუდარებოდნენ, ეგებ როგორმე თვალები დაეხუჭათ, დაეძინათ. ფეხბურთელები პასუხობდნენ, ჩვენც ძალიან მოგვერია ძილი, მაგრამ რა ვქნათ, ხუთ წუთში ერთხელ გვეღვიძებაო. გუშინ დილას უკლებლივ ყველა დინამოელს თვალები ჩასისხლიანებული ჰქონდა, არავის სძინებია, თვალს მოატყუებდნენ და საშინელი სიცხე თავისას აკეთებდა. შუადღისას ჩვენი გუნდის უფროსობა დაფაცურდა, სასტუმროს ადმინისტრაციას სთხოვეს, კონდიციონერით თუ არა, ვენტილატორებით მაინც შეგვეწიეთო. ქართველთა თხოვნა აქაურებმა კი ისმინეს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია გაგრილების ამ საშუალებამ იმოქმედოს.

სასტუმროს დასახელების გვერდით სამი ვარსკვლავი კია ჩაკიწკიწებული, მაგრამ, მერწმუნეთ, ორი ვარსკვლავი ზედმეტია. ნოდარ აკობია კოღოების შემოტევას ვერ აუდიოდა, ფეხბურთელებს ყველა სიკეთესთან ერთად მანქანების გაუთავებელი მოძრაობა აწუხებდათ. თქვენს მონამორჩილს კი საერთოდ... დილით თვალი რომ გავახილე, სასთუმალთან ათსანტიმეტრიანი ეგზოტიკური კალია მოკალათებულიყო, სასტუმროს ნომერში ნებივრობდა, რას ვერჩი.

„დინამოს" თავკაცობამ ლამის მთელი ტირანა შემოიარა, მაგრამ თავისუფალი ნომრები ვერც ერთ სასტუმროში ნახა, ერთთავად გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს დაუკავებიათო.

ალბანელები ეტყობა ხვატს ჩვეულნი არიან, მთელი დღე ქუჩაში დგანან, ამათი ეროვნული გმირის, სკენბერგის ძეგლთან ბირჟას ამაგრებენ და რაღაცეებზე საუბრობენ, ყველაფერზე, გარდა ომისა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ტირანა სხვა სახელმწიფო იყოს, ალბანეთის ჩრდილოეთი ნაწილი კი სხვა. იუგოსლავებთან ომი ტირანელებზე არაფრით მოქმედებს.

აქაურობა ტბებითაა სავსე, დაახლოებით 3000-მეტრიან მთათა სისტემა და ბუნებრივი ტბები ერთადერთია, რამაც შეიძლება ალბანეთის სტუმარი მოხიბლოს. და კიდევ, სპეციალური მაყლები, რომელზეც სიმინდს ბრაწავენ ბალკანელთათვის დამახასიათებელი ყოფილა, მაგრამ ასეთ სიცხეში ქუჩაში მთელი დღე სიმინდის ტაროს ტრიალი და ნაკვერჩხალი? ერთიც, დამავიწყდა, თბილისისა არ იყოს, გუშინწინ ღამით სასტუმროში შუქის პრობლემაც შეიქმნა, ნახევარი „დინამო" უშუქოდ დარჩა.

„დინამომ" გუშინ „ქემალ სტაფაზე" ხუთ საათზე ივარჯიშა, დღევანდელი მატჩის დაწყების დროს, რომელიც ალბანელებს ადრე დაგეგმილთან შედარებით ერთი საათით წინ გადაუწევიათ. ხურცილავამ ფეხბურთელები მსუბუქად დატვირთა, სავარაუდოა, რომ მწვრთნელი დაცვითი ტაქტიკით ითამაშებს, თავდასხმაში, ალბათ ისევ მუჯირი-ხომერიკი იქნებიან, ოღონდ ესენიც ოდნავ უკან დაიხევენ. თბილისურ შემადგენლობასთან შედარებით ცვლილებები ნაკლებმოსალოდნელია. ვარჯიშისას ბიჭებმა რამდენიმე ლიტრი წყალი მოიხმარეს, იოლი წარმოსადგენია მატჩის დროს რა იქნება, თუმცა ვინ იცის თამაშისას ეგებ აგრილდეს კიდეც. თუ გუშინდელისნაირი ტემპერატურა იქნა, ეჭვი მეპარება „დინამომ" ჩემი პროგნოზი გაამართლოს, რომელიც აქაურ კოლეგას ვუთხარი. შეიძლება მოგებით ვერ მოიგონ, მაგრამ „ატლეტიკი" რომ ჩვენი ხვედრია, მგონი უეჭველია.

გუშინვე აქაური სპორტული გაზეთის „სპორტ ექსპრესის" მორიგი ნომერი გამოვიდა. პირველ გვერდზე უზარმაზარი ასოებით წერია, დაახლოებით ის, რომ იმედი ბოლოს კვდება!

მესამე გვერდზე კი გაზეთს ჰუსენ დედიას სიტყვები აქვს დაბეჭდილი, რომელიც ასე ითარგმნება — ახლა ჩემი საზრუნავი „დინამოა", რომელსაც თუ მოვუგებთ, შკოდერში ფეხით ჩავალო. ტირანადან შკოდერამდე კი ასი კილომეტრია. როგორც აქ თქვეს, 25 ათასიანი „ქემალ სტაფა" არ გაივსება, პაექრობაში რომ უეფა არ ჩარეულიყო, ეგებ ანშლაგიც ყოფილიყოო. ადგილობრივი ტელევიზია ამ მატჩის გადაცემას არ აპირებს, ისევე როგორც მეორე ტირანული მატჩისა „ტირანასა" და ბრატისლავის „ინტერს" შორის, რომელიც იმავე დროს იწყება „სელმან სტერმასის" სტადიონზე. რა დროსაც ჩვენებს მოუწევთ საძმოსთან საქმის გარჩევა.

სხვათა შორის „ქემალ სტაფაზე" მთლიანად ინდივიდუალური სკამებია დამონტაჟებული, მყუდრო, კოხტა და ლამაზი სტადიონია ხასხასა მინდვრით, თანამედროვე პრეს-ლოჟითა და ბარით.

ჰო კიდევ, გუშინდელ ვარჯიშს ალბანეთის ნაკრების მწვრთნელი ასტრიტ ჰაფიზიც ესწრებოდა. ხვალ თქვენებს მეტად გაუჭირდებათ, ისეთი სიცხეა მეც ცუდად ვარო — გვითხრა.

## იუგები ნოლიდან იწყებენ

### ...და ფოთში მიღწეული შედეგის გაუმჯობესებას აპირებენ

ბიძინა დარჩია ბელგრადიდან

ფოთელები გუშინწინ მშვიდობიანად დაეშვნენ ბელგრადის დიდებულ აეროპორტში, სადაც ფირმა „გრუნდიკის" წარმომადგენლებმა დიდებული შეხვედრა მოუწყვეს მათ. ეს ფირმა „ცრვენა ზვეზდას" ერთ-ერთი სპონსორი და პარტნიორი გახლავთ.

მატჩი „ცრვენა ზვეზდასა" და ფოთის „კოლხეთს" შორის ხვალ ოც საათზე (შუა ევროპული დროით) იწყება და დაახლოებით ოცდაათი ათას მაყურებელს ელიან.

„ცრვენა ზვეზდას" მართლაც დიდებული არენა ჩვენებმა უკვე დააჭაშნიკეს. ჩამოსვლის დღესვე მათ საათნახევარი დაჰყვეს აქ გუშინ კი მატჩის დაწყების დროისთვის ერთხელაც ივარჯიშეს.

„ცრვენამ" ვარჯიში სათადარიგო მინდორზე ჩაატარა, რომელიც ასევე ბრწყინვალე მდგომარეობაშია. მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა მილორად კოსანოვიჩმა აღნიშნა, რომ მისი გუნდი მეორე შემადგენლობით მინდორზე გასვლას არ აპირებს და ანგარიში 4:0, რასაც ფოთში მიაღწიეთ, უნდა დავივიწყოთო. ეს შეხვედრა, როგორც 0:0 — ისე უნდა დავიწყოთ, მთელი ოთხმოცდაათი წუთი უნდა ვიბრძოლოთ, რათა შედეგი კიდევ უფრო გავაუმჯობესოთო — განაცხადა კოსანოვიჩმა.

ბელგრადში ძალიან ცხელა და 38 გრადუსი ტემპერატურაა. ხალხი ძირითადად დუნაისა და სევას ნაპირებსაა შესეული, გუნდის პრეზიდენტი დრაგან ჯაიჩი კი ადრიატიკის სანაპიროზე ისვენებს და ალბათ უშუალოდ მატჩის წინ თუ მოახერხებს ჩამოსვლას. სოსო ფილიას განცხადებით, ფოთელთა მთელი შემადგენლობა ტრავმის გარეშე ესტუმრა ბელგრადს, მხოლოდ ნუგზარ მიქაბერიძე არ წამოსულა „კოლხეთთან" ერთად, როგორც ამბობენ, იგი ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებს. ფილიამ ისიც აღნიშნა, რომ ამ დიდებულ არენაზე „კოლხეთი" ყველანაირად შეეცდება თავისა და ქართული ფეხბურთის არშერცხვენას და ღირსეულად წარმოჩენას.

| უეფას თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი<br>საპასუხო მატჩები. 28 ივლისი | |
|---|---|
| გეტებორგი (შვედეთი) — უნიონი (ლუქსემბურგი) | 4:0 (3:0) |
| 1:0, 2:0, 3:0 ეკსტრიომი (17, 50, 79), 4:0 ჰენრიკსონი (71) | |
| სარაევო (ბოსნია) — გკერენი (ბელგია) | 0:0 (1:4) |

UEFA CUP

## ამერიკა აღარ ოცნებობს ახლა სხვების ჯერია

.იხილეთ მეშვიდე გვერდი



FIBA MEDIA GUIDE

ჩემპიონატი უსაბონისოდ და უდივაცოდ ჩაივლის

საბერძნეთის დედაქალაქი ათენი დღეიდან 9 აგვისტოს ჩათვლით კალათბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, ელადას 16 ქვეყნის ნაკრები ეწვია, ათენში ხუთივე კონტინენტის კალათბურთელები იასპარეზებენ — ბებერ ევროპას მასპინძლებთან ერთად იტალია, იუგოსლავია, რუსეთი, ლიტვა და ესპანეთი წარმოადგენს, აზიის ღირსებას იაპონელები და კორეელები დაიცავენ, აფრიკელთაგან სენეგალი და ნიგერია წარმოაჩენენ შავი კონტინენტის კალათბურთის დონეს, ამერიკიდან აშშ, კანადა, პუერტო რიკო, არგენტინა და ბრაზილია ესტუმრებიან საბერძნეთს. ამ თხუთმეტ გუნდს ავსტრალიაც დავუმატოთ და აჰა, ბატონო, იმ ნაკრებთა სრული სიაც, რომლებიც, მსოფლიოს პირველობისათვის იბრძოლებენ.

თქმა არ უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატს გამორჩეული ფავორიტებიც ჰყავს და უიღბლო აუტსაიდერებიც, თამამად შეგვიძლია 5-6 გუნდის დასახელება, რომელთაც თანაბრად ძალუძთ ოქროს მედლებისათვის ბრძოლა. ჩემპიონის ვინაობა წინასწარვე იქნებოდა ცნობილი, ამერიკელებს წინა მსოფლიოს პირველობის გამარჯვებულის, „ოცნების გუნდის" დარი ნაკრები რომ ჩაეყვანათ საბერძნეთში, ნბა-ს ვარსკვლავები შანსს არ დაუტოვებდნენ მეტოქეებს და დიდი უპირატესობითაც მოიგებდნენ ყველა შეხვედრას, მაგრამ რად გინდა? ნბა-ში გამოცხადებული ლოკაუტის გამო კალათბურთის ჯადოქრებმა უარი განაცხადეს ქვეყნის ნაკრებში თამაშზე და გუნდის მთავარ მწვრთნელს, „ჰიუსტონ როკიტსის" დამრიგებელს რუდი ტომიანოვიჩს ევროპის კლუბებში მიმოფანტული ამერიკელებისა და სტუდენტურ ლიგაში მოთამაშე კალათბურთელების გამოძახება მოუხდა, თუმც ტომიანოვიჩი იმედს არ კარგავს და თავის გუნდს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევს.

ჩემპიონობის რეალურ კანდიდატად იუგოსლავიის ნაკრებიც ითვლება, გეხსომებათ, იუგების ბრწყინვალე გუნდმა 1990 წლის მსოფლიოს პირველობა მოიგო, მას მერე კი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო FIBA-ას თავკაცებმა საერთაშორისო სარბიელზე ასპარეზობა აუკრძალა იუგოსლაველ კალათბურთელებს და მხოლოდ 1995 წლის ევროპის ჩემპიონატზე დაუბრუნდნენ ისინი საერთაშორისო სარბიელს. დაბრუნება მართლაც ბრწყინვალე იყო — იუგებმა 1995 და 1997 წლებში ევროპის ჩემპიონატი მოიგეს და კვლავ ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ. დღევანდელი ნაკრების მთავარ მწვრთნელს ზელკო ობრადოვიჩს, მართალია კარგი გუნდი ჰყავს, თუმც არც პრობლემების ნაკლებობას განიცდის — გუნდის ლიდერი და მთავარი ბომბარდირი საშა ჯორჯევიჩი ტრავმირებულია და ჯგუფური ტურნირის შეხვედრებში პარტნიორებს ვერაფრით დაეხმარება, ასევე ავადმყოფობს პრედრაგ დანილოვიჩი, ხოლო ზორან სავიჩი და ჟარკო პასპალი მწვრთნელს გაბუტვიან და ნაკრებში თამაშზე უარი განუცხადებიათ. მიუხედავად ასეთი დიდი დანაკარგისა, როგორც ვთქვით, იუგოსლავია ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია. საბერძნეთი პირველად მასპინძლობს მსოფლიოს ჩემპიონატს და საკუთარი მაყურებლის მხარდაჭერით გამხნევებული ყოველნაირად ეცდება, ხელიდან არ გაუშვას ჩემპიონობის მოპოვების შანსი. მაყურებლის ფაქტორიც თავისთავად ბევრს ნიშნავს, მაგრამ ბერძენთა ნაკრები რომ ხელწამოსაკრავი არაა ეს ყველას კარგად მოეხსენება — ელინები გამართულ, თანამედროვე კალათბურთს თამაშობენ და შემსრულებლებიც უმაღლესი კლასისა ჰყავთ.

ფავორიტთა რიცხვს მიეკუთვნებიან ლიტვის, რუსეთისა და ავსტრალიის ნაკრებებიც, ამ უკანასკნელებმა კეთილი ნების თამაშებზე ბრწყინვალედ იასპარეზეს და მხოლოდ ამერიკელებთან დათმეს ფინალური შეხვედრა. არც ესპანეთის, იტალიისა და ბრაზილიის ტრადიციულად ძლიერი გუნდებია ჩამოსაწერი, მათ ნებისმიერი მოწინააღმდეგის ძლევა შეუძლიათ და ვფიქრობ ათენში მრავალ სიურპრიზსაც შემოგვთავაზებენ.

ვიდრე წერილს დავასრულებდეთ, მოდით, რამდენიმე ხნით წარსულსაც გადავავლოთ თვალი და გასული ჩემპიონატებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. კალათბურთელთა მსოფლიოს პირველობების ისტორია 1950 წლიდან იღებს სათავეს, მასპინძელი ქვეყანა არგენტინა იყო და ფინალურ შეხვედრაში მათ ამერიკელები დაამარცხეს, ასე რომ, მსოფლიოს პირველი ჩემპიონი არგენტინა გახდა, მას შემდეგ ჩემპიონატი კიდევ თერთმეტჯერ გაიმართა და აშშ-ს, იუგოსლავიისა და ყოფილი სსრკ-ს გუნდებმა სამჯერ შეძლეს ჩემპიონობის მოპოვება, ორჯერაც ბრაზილიელებმა იმარჯვეს.

საბერძნეთის მსოფლიოს ჩემპიონატი რიგით მეცამეტეა, ამერიკელებსა და იუგებს შესაძლებლობა ეძლევათ მეოთხედ დაისაკუთრონ მსოფლიოს უძლიერესი გუნდის სახელი, არც სხვები იტყვიან უარს ჩემპიონობაზე, ამიტომაცაა დაძაბულ, უშეღავათო და ამავ დროს ლამაზ, სანახაობრივად მიმზიდველ კალათბურთს რომ ველით.

სოსო კოტორაშვილი

# არსენალი ქობულეთში!

## ბათუმი 0:1 არსენალი

**ბათუმი:** მალაყმაძე (პ. გაბუნია), ჭიჭვეიშვილი, პაპიძე (სიამაშვილი), შაკიაშვილი, მინდაძე (მჟავანაძე), მაქაცარია, ღლონტი (კობიძე), სიჭინავა, რუსია (ტულუში), გადელია (რომანაძე), აფხაზავა
**არსენალი:** ჩლაიძე, ფირცხალავა (ქიქავა), ცერცვაძე, გველესიანი, მ. თევზაძე (შ. ლაცაბიძე), მ. მაისურაძე (ამირიძე), ყოლბაია (სულაძე), კორღალიძე (ყუფარაძე), ლომიძე, კაკაშვილი, ტარიელაშვილი
0:1 ტარიელაშვილი

ნუ გაგიკვირდებათ, „არსენალს“ ქობულეთში რა უნდაო. ნურც იმას გაიოცებთ, ეს ლამის მთლად გაფრანგებული ინგლისური კლუბი ასე უცებ რამ გააქართულაო.

ლონდონის გარდა ამქვეყნად სხვა „არსენალიც“ არსებულა, მაგალითად რუსული ტულისა და ამათ ახლახანს ერთიც შეემატა, თბილისის „არსენალი“.

ასკ გაარსენალებულა, პირველ ჯგუფში წლეულს ალზევებული არმიული კლუბი.

ამბობენ ახალმონათლულ გუნდს ჯერ ასკ-„არსენალად“ მოიხსენიებენ, 6 თვეში კი ამ ძველ აბრევიატურას სულაც მოიშორებენო. რაკი საბოლოოდ მაინც ასე უნდა იყოს, ჩვენც აქედანვე ოდენ „არსენალი“ ვუწოდოთ.

გუშინ წყალტუბოში შეკრებაზე მყოფი „არსენალი“ ქობულეთს ეწვია და „ბათუმს“ გაეჯიბრა. ვერ ვიტყვით, საქართველოს თასის მფლობელი და ვიცე-ჩემპიონი მეტოქის ძლევამოსილმა სახელმა დააფრთხოო, მაგრამ ფაქტი კია, წააგო.

პირველი ტაიმი უგოლოდ მორჩა. ბათუმელმა რუსიამ და თბილისელმა კაკაშვილმა თითო ხელსაყრელი მომენტი გაუშვეს ხელიდან.

მეორე ტაიმში კი კაკაშვილმა პენალტიც გააცუდა, მის დარტყმას ბათუმის ქობულეთელი მეკარე პაატა გაბუნია გადაელობა. გაბუნიას არც თბილისელი კოლეგა ჩლაიძე ჩამორჩა — ჭიჭვეიშვილის თერთმეტმეტრიანი დარტყმა აიღო.

ბურთი კი მაინც გავიდა და იგი არსენალელმა ტარიელაშვილმა თავზე გადაატარა მეკარე გაბუნიას. მატჩის მიწურულს ბათუმელები ამაოდ უტევდა თბილისელთა კარს, გათანაბრება ველარაფრით შეძლეს.

**იუზა ბაციტაძე ქობულეთიდან**

# იცლება და იცვლება

ბევრ სხვათა დარად რუსთავულ გუნდს ლაშა სილაგაძეც დატოვებს. იგი თავის უფროს ძმას, ლევანს შეუერთდება და ლატვიურ „სკონტოში“ იასპარეზებს. „მეტალურგიდან“ წავიდა დიმიტრიშვილიც. თემური აზერბაიჯანში გააგრძელებს თავის კარიერას და იქაურ „თაუზში“ ითამაშებს. არ არის გამორიცხული, თანაკლუბელების მსგავსად კახა ალადაშვილმაც უცხოეთს მიაშუროს, მას ამ დღეებში რევაზ ძოძუაშვილი დაკავშირებია და ხელსაყრელი წინადადებები შეუთავაზებია. ყველაფერი რამდენიმე დღეში გადაწყდება და სავარაუდო კლუბის ვინაობაც მაშინ დადგინდება.

**პაატა ძვანტალიანი**

# არშოტს ბიძაშვილების იმედი აქვს



ნუკრი ყაზაიშვილი

ინტერტოტოზე „ლომელ“ - „ტორპედოს“ ამასწინანდელ მატჩს ბელგიის „ეკერენსა“ და „სენტ ტრუიდენში“ გადახვეწილი ქართველების გარდა, ორი ჩვენებური ლეგიონერი მობურთავეც ადევნებდა თვალს. მათი გვარები ბევრისთვის, შესაძლოა, უცნობიც იყოს, მაგრამ ფაქტია, ბიძაშვილები ნუკრი ყაზაიშვილი და დათო აშოთია რამდენიმე თვეა, რაც რეგიონალური ლიგის ბრაბანტის პროვინციის „არშოტისთვის“ ირჯებიან. ნუკრის „ტორპედო 2“-ში და თერჯოლის „საპოვნელაში“ უთამაშია, დათო აშოთია კი „დინამო 2“-ში გამოდიოდა. ჩვენებურები მოგვიანებით მოხვდნენ ძირითადში, მიუხედავად ამისა, ყაზაიშვილს ოთხი ბურთის გატანა მოუსწრია. „არშოტს“ 16 გუნდს შორის მე-8 ადგილი დაუკავებია.

ახალ სეზონში კლუბს მეორე დივიზიონში გადასვლა დაუსახავს მიზნად. ერთი თვის წინ ჩეხი, დანიელი და ბრაზილიელი მოთამაშეებიც კი შეუძენია. ესენი რომ ბიძაშვილებს დაემატებიან, „არშოტი“ სოლიდურ ძალად იქცევა — ასე ფიქრობს გუნდის მთავარი მწვრთნელი.

**იუზა ბაციტაძე**

# მოქალაქეებმა ფედერაციას და კაპას შეგანეს

ყრილობის 3 თვით გადავადების, ჩემპიონატის ახალი კალენდრის მიღებისა და სატრანსფერო სეზონის ასე თუ ისე ჩახლაფორთების შემდეგ იამანიძის №5-ში ერთგვარმა სიმშვიდემ დაისადგურა. ევროთასებზეც ერთი გუნდილა შემოგვრჩა. ასე რომ, ახალ სეზონამდე ფედერაციის მესვეურები მეტად მძიმე ორკვირეულის დაძლევისა და დროის მოგების შემდგომ განცხრომას მისცემიან. იქ მისული უცხო თვალი ვერაფრით შეამჩნევს, რომ ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რაღაც ათი დღე, ხოლო ნაკრების შესარჩევ თამაშამდე თვეზე ოდნავ მეტი დარჩენილა. იამანიძის ქუჩაზე აღარც ძველებური თავყრილობაა და ვეღარც დამაინტრიგებელ წინასაარჩევნო ფუსფუსს გაიგონებთ. თუმცა შენობის მეორე სართულზე, ნოდარ ახალკაცის ყოფილ კაბინეტში, იქ, სადაც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე მოკალათებულა, სულ სხვა სურათს იხილავთ. განუწყვეტელი მიღებები, თათბირები, ჟურნალისტების თავყრილობა, ერთი სიტყვით, ამ ოთახში ხდება ის, რაც მთელ ფედერაციაში უნდა ხდებოდეს. ანდრიაძე დროს არ კარგავს, რადგან იცის, თითოეული საათი ახლა მის სასარგებლოდ მუშაობს და სწორედ მაშინ, როცა მის მოწინააღმდეგეთა უმეტესობა ინდეფერენტულადაა განწყობილი, იგი ყოველ წუთს ჩვეულ საქმიანობას ახმარს. ვიცე-პრეზიდენტი მრავალმხრივ ძიებაშია. მას მომავლის იმედი ჯერ არ დაუკარგავს და კარგად უწყის, რომ თუ ეროვნულ ნაკრებსა და ჩემპიონატს დროულად არ მიხედა, მომავალ ყრილობაზე ჩვენი ფეხბურთის წარუმატებლობის მთავარ მიზეზად სწორედ მას დაასახელებენ. ანდრიაძე ყველანაირად შეეცდება, ამას თავი დააღწიოს და საამისოდ სხვებზე ადრე დაიჭირა თადარიგი. თუმცა, ვინც მის პიროვნებას კარგად იცნობს, ერთი რამ მართლაც უდავო ჭეშმარიტებაა — ნოდარ ანდრიაძე იამანიძის №5-ში მოტრიალე ადამიანთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სუფთა და უანგარო ფეხბურთში მოღვაწე კაცია. შეცდომებისთვის პასუხისმგებლობაც ყველაზე ნაკლებად მას აწევს მხრებზე, რადგან ფედერაციაშიც სულ რაღაც წელიწადნახევარია, მუშაობს.

გუშინ ვიცე-პრეზიდენტმა პარლამენტარები მოიწვია ქართული ფეხბურთის სამეურნეო პრობლემებზე საბაასოდ. შეხვედრა მართლაც შედგა, მაგრამ არასრული შემადგენლობით. პარლამენტიდან მმართველი პარტიის — მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ. დამსწრეთა სია კი ასე გამოიყურება — გერმანე ფაცაცია (ფრაქცია აფხაზეთი), ბათუ ჭუმბურიძე (სახალხო პარტია), ოთარ კერესელიძე (პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის სპეციალისტი), პაატა საყვარელიძე (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), გიზო კორძაძე (დრაციდიონალისტი), მერაბ იაშვილი (სფფ-ს სპორტულ ღონისძიებათა მომსახურების კომიტეტის თავმჯდომარე), ევგენი მეტრეველი (სფფ-ს იურისტი).

სხდომაზე ურთიერთგაგება სუფევდა. გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები სპორტის დეპარტამენტის მიმართ. თავიდან ნოდარ ანდრიაძემ ვრცლად მიმოიხილა ქართულ ფეხბურთში შექმნილი სავალალო მდგომარეობა. მის გამოსასწორებლად სამი მთავარი საკითხი შესთავაზა სტუმრებს — ფეხბურთისათვის სპორტის პრიორიტეტული სახეობის სტატუტის მინიჭება, სტადიონებისა და ბაზების საკუთრების ფორმის განსაზღვრა და ბავშვთა ფეხბურთისთვის განსაკუთრებული მხარდაჭერა სახელმწიფოსაგან. მისი აზრით, საჭიროა სტადიონები უწყებრივი დაქვემდებარებისგან გათავისუფლდეს, რადგან უეფა მათ სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას და აქციონერთა შორის წამყვანი უფლებების მუნიციპალური ორგანიზაციებისთვის მინიჭებას ითხოვს. სწორედ ამგვარი რეფორმის შემდეგ მოხერხდა ეროვნული სტადიონისთვის უეფას მიერ რესტავრაციისთვის საკმაოდ დიდი თანხის გამოყოფა. თუმცა, როგორც ანდრიაძემ აღნიშნა, სფფ მარტო დარჩა ამ საქმეში, არადა, იგი ქალაქის მერიისა და „დინამოსგან“ განსხვავებით სტადიონის აქციათა მხოლოდ 4%-ის მფლობელია. სფფ-ს შენობის რემონტისთვის გამოყოფილი მილიონი შვეიცარიული ფრანკიც სტადიონისთვის გადაუნახავთ. იამანიძის №5-ისგან კი, თუ დროზე არ მიხედეს, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მხოლოდ ნანგრევები დარჩეს. ავარიულ მდგომარეობაშია სამტრედიის სტადიონიც, სადაც თამაში შეუძლებელია. ითქვა აგრეთვე ლაგოდეხის საწვრთნელ ბაზაზეც, რომელიც სპორტსაზოგადოება „შევარდენს“ ეკუთვნოდა და ფედერაციას მისი გამოსყიდვა 20 ათასი დოლარი დაუჯდა. ბატონმა ნოდარმა აუცილებლად მიიჩნია ფეხბურთისთვის განკუთვნილი ნაგებობების კლუბების ან მუნიციპალური ორგანიზაციების საკუთრებაში გადასვლა. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტები ყოველგვარ კომუნალურ მომსახურებას და მისი გადასახადების დაფარვას უზრუნველყოფენ.

რაც შეეხება მასობრივ ფეხბურთს, ვიცე-პრეზიდენტმა დიდი გულისტკივილით აღნიშნა, რომ, ფაქტობრივად, აღარ არსებობს ქუჩის ფეხბურთი, ტყავის ბურთის გათამაშება. საჭიროა სახელმწიფო აფინანსებდეს ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს, რადგან განათლების სისტემაში არსებული სპორტული სკოლები თავის მოტყუებაა და იქ მთელი მატერიალური სიმძიმე ყმაწვილების მშობლებს აწევბათ. ზუგდიდში 9 წლის ბავშვს მშობლისთვის განუცხადებია, მეკარეობა არ მინდა, რადგან თურმე მეკარეები არ იყიდებიანო. წარმოგიდგენიათ, ბავშვებიც მატერიალურ მხარეზე ფიქრობენ და არა სპორტულ მიღწევებზე. ეს არის ტრაგედია — განაცხადა ანდრიაძემ. 16 წლამდე ნაკრების წევრთა სამედიცინო გამოკვლევის შედეგად 20-დან მხოლოდ 5 აღმოჩნდა ჯანმრთელი, დანარჩენებს არასწორი კვების შედეგად გადახრები ჰქონდათ. თუმცა, რაზეა ლაპარაკი, როცა ლანჩხუთის „გურიას“ ფეხბურთელებს საჭმლის ფული არ აქვთ და ქართველმა ხალხმა ბოლო დროს 10 სმ-ით მოიკლო სიმაღლეში — გულისტკივილით აღნიშნა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა.

გუნდების ფინანსურმა პრობლემებმა ფედერაცია აიძულა, მესამე ჯგუფი გაეუქმებინა და მეორე ჯგუფში 4 ზონა შეექმნა ტერიტორიული პრინციპით, რათა გუნდებს სათამაშოდ შორს წასვლა არ დასჭირვებოდათ, არადა, მეორე ჯგუფის კლუბის შე-




რომელი მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციის შენობაა და რომელი საქართველოსი, ცნობა არ გაგიჭირდებათ. არადა, უეფა მოლდოველებს ჩვენზე მეტად სულაც არ ეხმარება



ნახვა წელიწადში მხოლოდ 5 ათასი ლარი ჯდება.

სხდომაზე ითქვა, რომ პრეზიდენტმა 1998 წლის 25 თებერვალს განკარგულება გასცა, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილიყო კომისია — 33 კაცის შემადგენლობით, მაგრამ მის წევრებს ამ საქმისთვის თითიც არ გაუნძრევიათ. საჭიროა პარლამენტმა ფეხბურთის განვითარების კონცეფცია შეიმუშავოს და მიღებული კანონმდებლობით ქართულ კლუბებს შემთხვევითი ხალხი ჩამოაშოროს.

გერმანე ფაცაციამ მხარი დაუჭირა ფედერაციის მესვეურთა შეხედულებებს. თუმცა, სინანულით აღნიშნა, რომ კრებას არ ესწრებოდნენ მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები, ისინი, ვისაც პარლამენტში ხმათა უმრავლესობა გააჩნიათ და გადამწყვეტი სიტყვის თქმა შეუძლიათ. მანვე მოახსენა იქ მყოფთ, რომ ამ საკითხზე ესაუბრა გია ბარამიძეს, რომელმაც აღუთქვა, სხდომას მოქალაქეთა კავშირის სამი დეპუტატი — ლაშა მინდელი, გია ხევიაშვილი და ლევან ალავიძე დაესწრებაო. ბატონი გერმანე აუცილებლად თვლის ქართული ფეხბურთისთვის სპორტის პრიორიტეტული სტატუსის მინიჭებას. მისთვის ფეხბურთი ერის სულიერ საზრდოს წარმოადგენს, მხოლოდ ფეხბურთს შეუძლია 1981 წლის 13 მაისის საღამოს დარად ნახევარი მილიონი მოზეიმე კაცი გამოიყვანოს ქუჩაში. ბატონმა გერმანემ გაიხსენა ის ავადმოსაგონარი რეჟიმი, როცა ყველა სფერო მარწუხებში იყო მოქცეული. ამ რეჟიმის დროს გაიცა პრეზიდენტის შეღავათიანი განკარგულება „დინამოს“ მიმართ და როცა ასეთ დიდ საქმეს გიკეთებენ, საჭირო იყო საქმისადმი უფრო პროფესიული დამოკიდებულება კლუბის დირექტორატის მხრიდან — აცხადებს დევნილი პარლამენტარი.

კრების მუშაობაში სფფ-ს გამოცდილი იურისტი ევგენი მეტრეველი ჩაება. მან იურისტისთვის ჩვეული დასაბუთებული არგუმენტებით 4 პუნქტად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები. უპირველესად ფეხბურთის განვითარებისთვის დახმარების საქველმოქმედო ფონდის შექმნის აუცილებლობა დაასაბუთა და მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენებაზე კონტროლის გარანტია მოითხოვა. იურისტმა აღნიშნა, რომ სსრკ-ში მოქმედი პროფკავშირები იყო ცენტრალიზებული და იმ დროს აშენებული სტადიონები ყველა მშრომელის ფულით გაკეთდა. ამის გამო იგი ხალხის კუთვნილებაა და არავის აქვს უფლება, მისი პრივატიზაცია მოახდინოს, მით უმეტეს, როცა კანონი მიწის შესახებ მიღებული არ არის. მეტრეველმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ერთწლიანი კლუბების პრეზიდენტები, რომლებმაც ფეხბურთი კერძო ბაზრად აქციეს და მათი ამ საქმიდან მოკვეთა და პროფესიონალური კლუბების შექმნის საჭიროება მოითხოვა. პარლამენტმა ფეხბურთი, როგორც პროფესია, უნდა დააფიქსიროს და თითოეულ მათგანს 35 წლიდან პენსია დაუნიშნოს. ამის შემდეგ აღარ გვეყოლებიან შეჭირვებულ ყოფაში მყოფი ვეტერანები — ამგვარი იყო ბატონი ევგენის გამოსვლის დამამთავრებელი აკორდი.

საჭირო იყო, ფედერაციასთან სპორტის დეპარტამენტს ხელშეკრულება გაეფორმებინა და მკაცრი მარწუხების პრინციპით არ ემოქმედა. ამ აზრს ხშირად იმეორებდნენ კრებაზე მყოფნი. ისიც გაისმა, ასათიანმა თავისი აღმასრულებელი კოლეგების მსგავსად განთავისუფლების შესახებ განცხადება შევარდნაძეს წარუდგინოსო. თუ შეიძლება პარლამენტმა განსაკუთრებული კონცეფცია მიიღოს გზის, საქართველოს, როგორც სატრანზიტო ფუნქციის შესახებ, რატომ არ უნდა გაკეთდეს იგივე ქართული ფეხბურთისთვის, ფეხბურთი ხომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი სახეა — განაცხადა გერმანე ფაცაციამ და იქ მსხდომთ დაპირდა, რომ ამ საკითხს უახლოეს ბიუროზე დააყენებდა. დამაკისრეთ ფედერაციასა და პარლამენტს შორის შუამავლის ფუნქცია და თქვენს სათქმელს სამთავრობო დონეზე დავაყენებო — არ ცხრებოდა პარლამენტარი.

ნოდარ ანდრიაძემ მოიწონა სტუმართა ენთუზიაზმი და მხარდაჭერა. მან სახელმწიფოს მხრიდან სფფ-ს მიმართ ლოიალური საგადასახადო სისტემის მორგება ისურვა. ზუსტად იმას მივადექით, რისთვისაც შევიკრიბეთ, იტალიაშიც 50-იან წლებში იგივე ხდებოდა, რაც ჩვენში. შავი ფული ფეხბურთში არ უნდა ჩაიდოს. ეს არავის სჭირდება. ჩვენ უეფადან 300-ათასდოლარიანი გრანტი მივიღეთ, ფული კი საბაჟომ 500 დღე დაგვიკავა. ამგვარი ფაქტები არ უნდა ხდებოდეს. სფფ გადაიხდის ბიუჯეტისთვის 250 ათას ლარს, მაგრამ ხომ შეიძლება, ეს თანხა სახელმწიფომ დროებით გაყინოს და იგი ქართულ ფეხბურთს მოხმარდეს — ღელავდა ვიცე-პრეზიდენტი. ბატონმა ნოდარმა აღნიშნა, რომ იუჰანსონს 800 ათასი დოლარის გამოყოფა სურდა სფფ-ს ოფისის რემონტისათვის და ამ თანხით ევროპაში, ალბათ, ყველაზე ლამაზი ფედერაციის შენობის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ დღგ-სა და სხვა გადასახადებმა 200 ათას დოლარს მიაღწია და იუჰანსონი კინაღამ გაგიჟებულა. რვა თვე ურბენიათ ამ საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ ამაოდ...

პარლამენტარებმა გამოთქვეს აზრი, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც პრეზიდენტის მიერ გამოცემული საფინანსო ამნისტიის სუბიექტები გახდნენ, ქართულ ფეხბურთს უნდა შეეწიონ. გერმანე ფაცაციას წაუკითხავს ედუარდ შევარდნაძის დამტკიცებული დადგენილება სპორტის დეპარტამენტის შექმნის შესახებ. დარწმუნებული ვარ, ეს დოკუმენტი ფედერაციაში არ მოსულა და მას აუცილებლად მოგაწვდითო — შეპირდა სხდომის მასპინძლებს, რომლებმაც ამ ფაქტის გამო გაკვირვება გამოხატეს.

კრება დასასრულს უახლოვდებოდა. იქ ნაამბობი „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ რომ არ დარჩენილიყო, მონაწილეებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ საინიციატივო ჯგუფი მოწვეული სტუმრების შემადგენლობით, რომლებსაც დაევალათ, სხდომის სულისკვეთება პარლამენტის დარბაზში გადაეტანათ.

დასასრულ ბატონმა მერაბ იაშვილმა ფედერაციაში მისულთ სამახსოვრო საჩუქრები „კაპას“ ფირმის მაისური, სფფ-ს ვიმპელი და სამკერდე ნიშანი გადასცა. მოქალაქეები ამჯერად თამაშგარე მდგომარეობაში დარჩნენ.

**ხვიჩა სანიკიძე**

# მერანი

საბოლოო ადგილი წინა ჩემპიონატში: მეშვიდე

# მერანმა ნიგერიელი ზანგი დაიწუნა

კარს მოგვადგა მეათე ეროვნული ჩემპიონატი. ათიოდე დღეც და გუნდები საქართველოს მორიგ პირველობაში შეერკინებიან ერთმანეთს ჩემპიონატისწინა სამზადისი პირველი ჯგუფის გუნდებმა სხვადასხვანაირად ჩაამთავრეს — ვის ულხინდა, ვის უჭირდა მზადებებიც, პირობებიდან გამომდინარე, ზოგმა უცხოეთში გაიარა, ზოგმა ქვეყნის შიგნით, ზოგიერთი გუნდი კი ეს-ესაა შეიკრიბა და გაარკვია თავისი ბედ-იღბალი. თბილისის „მერანი“ იმ ქართული გუნდების რიგს განეკუთვნება,რომელთა ყოფნა-არყოფნის საკითხიც არსდროს მდგარია. მიუხედავად არსებობის მოკლე ხნიანი ისტორიისა, „მერანი“ თამამად შეიძლება ქვეყნის მოწინავე გუნდებს მივაკუთვნოთ. ჩემპიონატის დაწყების წინ შევხვდით „მერანის“ მთავარ მწვრთნელს *სერგო გაბელაიას* და სეზონისწინა პერიპეტიებზე გავესაუბრეთ



მერანის სადავეები წლეულს ხელთ გაბელაიას უპყრია

— „მერანმა“ მზადება რვა ივლისს დაიწყო. თავიდან დაახლოებით ორი კვირა „სინათლის“ სტადიონზე და თბილისის ზღვაზე ვვარჯიშობდით. ამის შემდეგ, თითქმის ოთხი კვირის განმავლობაში ვემზადებოდით თბილისში არსებულ ერთ-ერთ ბაზაზე, რომელიც „ოლიმპიკის“ სახელითაა ცნობილი. ამჟამადაც თბილისის ზღვაზე ვავარჯიშებთ ფეხბურთელებს, პირველი აგვისტოდან კი დაგეგმილი გვაქვს შეკრება მუხრანში ჩავატაროთ. შვიდი აგვისტოსთვის კვლავ თბილისს დავბრუნდებით და მეათე ეროვნულ ჩემპიონატში ჩავებმებით.

**— „მერანში“ დაახლოებით ორმოცამდე ფეხბურთელი გამოსცადეთ, ამჟამად რამდენი მოთამაშე ირიცხება გუნდში და ვინ დაიტოვეთ ახალწვეულთაგან?**

— მიუხედავად გასინჯვაზე მყოფი ფეხბურთელების სოლიდური რაოდენობისა, მხოლოდ ორი ფეხბურთელი დავიტოვეთ გუნდში, ესენია გურამ ხარებავა და ჯუმბერ ბერიძე. ამათ გარდა „მერანს“ შეემატნენ გიორგი ბაჯელიძე და გიორგი ლომაია „დინამოდან“, დაგვიბრუნდა მიხეილ მესხიც, რომელიც აგრეთვე „დინამოში“ ირიცხებოდა, ჩვენთან ითამაშებენ ლოკომოტიველი მიხეილ ხუციშვილი და გიორგი კვეტენაძე. ამჟამად უკრაინაში სინჯებზე მყოფი ასპინძელაშვილიც, თუ რა თქმა უნდა, უკრაინელებმა არ დაუდეს კონტრაქტი, ჩვენთან იქნება. „მერანში“ ამ დროისათვის მთლიანად ოცი ფეხბურთელი ირიცხება და როგორც მოგახსენეთ აგვისტოს დასაწყისში ოცივე მათგანი შეკრებას მუხრანში გაივლის.

**— ხმები გავრცელდა, „მერანმა“ ზანგი ფეხბურთელი დაიწუნაო...**

— სრული სიმართლეა, გამოვცადეთ ერთი ნიგერიელი ფეხბურთელი, სახელად რიჩარდი, რომელიც თავდამსხმელობაზე დებდა თავს, მაგრამ ფეხბურთელისა არაფერი ეცხო, მეტად სუსტი მოთამაშე აღმოჩნდა. აი, გულშემატკივრობაში კი არავის დაუდებდა ტოლს.

**— კმაყოფილი ხართ თუ არა მოსამზადებელი პერიოდით?**

— უნდა გითხრათ, რომ მოსამზადებელი პერიოდი ჯერაც არ დაგვიმთავრებია, წინ კიდევ მუხრანის ათდღიანი შეკრება გველის. იმით კი, რაც აქამდე იყო, შეიძლება ითქვას, კმაყოფილი ვართ. ბიჭები ნორმალურად არიან მომზადებულნი.

**— საკონტროლო თამაშები თუ გამართეთ და ვისთან?**

— საკონტროლო თამაშების გამართვა ძირითადად თბილისური გუნდების წინააღმდეგ მოგვიწია. შევხვდით „მრეტებს“ და გავიმარჯვეთ 6:1, დავამარცხეთ „დინამო 2“ — 5:2, სამი შეხვედრა გავმართეთ „ვიტ ჯორჯიასთან“. ამათგან ორი — ორი შემადგენლობით და შესაბამისად 0:0 და 0:1 დავამთავრეთ. სამი დღის შემდეგ კი უკვე ძირითადი შემადგენლობების შეხვედრაში დავამარცხეთ „ვიტ ჯორჯია“ 3:0. ამის მერე წავაგეთ თბილისის ასკ-სთან 0:1. დაახლოებით 30-31 ივლისისთვის დაგეგმილი გვაქვს მატჩი „აკადემიასთან“, თუ შევძელით 3 აგვისტოსაც ვაპირებთ ერთი თამაშის გამართვას და ამით ამოვწურავთ სეზონისწინა საკონტროლო მატჩების განრიგს.

**— ტრავმებმა ხომ არ შეგაწუხათ ფეხბურთელები?**

— სერიოზული ტრავმა არცერთ მერანელს აქვს. „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში ჩიგოშვილი დაგვიშავდა, მაგრამ უკვე ჯანზეა, ასევე მცირე ტრავმები აწუხებთ ბაჯელიძეს და კვეტენაძეს, მაგრამ ისინიც მწყობრში დგებიან და იმედია, უდანაკარგოდ შევხვდებით ახალ სეზონს.

**— ბატონო სერგო, „სარბიელის“ მკითხველს უკვე ვაუწყეთ, რომ გუნდი ცხრა ფეხბურთელმა დატოვა. ეს გარკვეულწილად გაოცებასაც იწვევს, „მერანი“ ხომ ერთ-ერთ იმ გამონაკლისთაგანია, სადაც პრემია-ხელფასები არასოდეს გვიანდება, მაშ, რამ აიძულა ფეხბურთელები, მიეტოვებინათ გუნდი?**

— ამაში დამნაშავე უმალ ჩვენი ჩემპიონატის დაბალი დონეა. ფეხბურთელი, რომელიც ხანში შედის, უკვე გრძნობს სპორტული კარიერის დასასრულს და ეძებს გუნდს, რომელიც მეტს გადაუხდის. თანაც საზღვარგარეთ ხომ მეტი შანსია თავის გამოჩენის, ასე რომ, ამ ფეხბურთელთა პოზიცია და მდგომარეობაც გასაგებია. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვაბრკოლებთ იმ ბიჭებს, რომელთაც სხვაგან წასვლა უჯობთ და აქცენტი უფრო პერსპექტიულ, ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გვაქვს. წასულებს რაც შეეხებათ, აბაზაძე და კაპანაძე „ვიტ ჯორჯიას“ დაუბრუნდნენ, შარშანვე „ლოკომოტივში“ განათხოვრებული გოდერძიშვილი ალბათ ისრაელში იასპარეზებს, ავთანდილ ხორხელი ნიჟნი ნოვგოროდში ისინჯება, გოგიტაძემ „ბათუმს“ მიაშურა, დავითაშვილს უკვე თვენახევარია სოფიის ცსკაში სინჯავენ, მხოლოდ ზაზა ინიაშვილის, ივანე ბუხრიკიძისა და ლერი საბიაშვილის ბედია უცნობი, ეს უკანასკნელი რუსეთის კლუბებში მოგზაურობს, პირველი ორი კი, სავარაუდოდ საქართველოს რომელიმე გუნდში ითამაშებენ.

**— რას გეგმავს „მერანი“ მეათე ეროვნულში?**

— ამ კითხვაზე ყოველთვის ცხონებული ნოდარ ახალკაცი მახსენდება. მან იცოდა თქმა — არაფერი მესმის იმ ხალხის, მეექვსე ან მეხუთე ადგილების დაგეგმვა რომ სჩვევიათო — მართალიცაა, დალოცვილო, თუკი მეექვსე ადგილისთვის ბრძოლა შეგიძლია, მეოთხემდე ან მესამემდე რაღა დარჩა? ამიტომაც ყოველთვის ასე ვპასუხობ ხოლმე ამ კითხვაზე — რაც შეიძლება მაღალი ადგილისთვის ვიბრძოლებთ და ჩვენი ამბიციების რეალურობას დრო გვიჩვენებს.

**— ბატონო სერგო, გუნდის გაწვრთნაში ვინ გაგიწევთ დახმარებას?**

— საწვრთნელ პროცესში თემურ ჩხაიძე და გოჩა ცეცაძე დამეხმარებიან, თემური, როგორც იცით, ამავე დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელიცაა, გოჩა კი ამავდროულად „მერანის“ ბავშვთა გუნდსაც გაწვრთნის.

**— როგორაა გუნდი დაკომპლექტებული და რომელ რგოლს გამოყოფდით?**

— მეტნაკლებად თანაბრად. მაგრამ მოსამზადებელი პერიოდის დასრულებამდე საბოლოო დასკვნის გაკეთება მაინც არ მიმაჩნია სწორად. საქმე ის არის, რომ ახალი ფეხბურთელები ჯერაც არ შეთამაშებულან თანაგუნდელებთან, მუხრანში სწორედ ამ კომპონენტს დავუთმობთ უმთავრეს ყურადღებას, მაქსიმალურად შევათამაშებთ რგოლებს, და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება საუბარი მათ სიძლიერეზე ან სისუსტეზე.

**— თქვენ სამი წელია გუნდში ხართ, მოდით, ერთმანეთს შარშანდელი და წლევანდელი „მერანი“ შევადაროთ...**

— დიახ, მე მეორე ჯგუფიდან მოვყვები გუნდს, ადრე რაც იყო, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ამ სეზონში რა იქნება, ამას ვერავინ იტყვის. ძლიერი გუნდი ერთ და ორ წელიწადში არ კეთდება, ეს არასპეციალისტისთვისაც ნათელია. კარგი გუნდი წლების მანძილზე ყალიბდება. მე იმდენი ახალწვეული მყავს გუნდში, იმდენი ახალი ხასიათი და ფსიქიკა უნდა შევისწავლო, იმდენ ფეხბურთელს უნდა მივუდგე ინდივიდუალურად, მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, რომ წლევანდელი გუნდის ავკარგიანობაზე ლაპარაკი ნაადრევად მიმაჩნია. სეზონი გვაჩვენებს ყველაფერს. ადრინდელი და ახლანდელი „მერანიც“ შედეგის მიხედვით შევადაროთ.

**— და ბოლოს, რა ტაქტიკით ითამაშებს გუნდი და გამოყოფდით თუ არა ვინმეს, ჰყავს ამჟამად „მერანს“ ლიდერი?**

— ტაქტიკის რა მოგახსენოთ. მას ხომ ცალკეული მატჩები განსაზღვრავს. მაგალითად, ხომ არ შეიძლება თბილისის „დინამოს“ და აუტსაიდერს ერთი და იგივე ტაქტიკით ეთამაშო. ლიდერებს რაც შეეხებათ, „მერანსაც“ ჰყავს თავისი ხერხემალი, ის ხუთი-ექვსი მოთამაშე, ვის ირგვლივაც იგება გუნდის თამაში, ვინც სათამაშო სქემას განსაზღვრავს, კონკრეტულად კი არავის დავასახელებ — ასეთი რამ, როგორც წესი, გამაღიზიანებლად მოქმედებს ფეხბურთელებზე. ერთი რამ კი ნათელია, ყველა მერანელი ბოლომდე დაიხარჯება და იბრძოლებს რაც შეიძლება მაღალი მიზნისთვის.

**— ორიოდე კვირაა ფედერაციამ ახალი კალენდარი გამოაქვეყნა, რა აზრის ხართ მასზე?**

— მაინცდამაინც არ გავუხარებივარ ახალ კალენდარს, მაგრამ არც გული დაუწყვეტია. საშუალო კალენდარი გვაქვს. საქმე იმაშია, რომ მატჩების განრიგი წინასწარ იყო შედგენილი, ოღონდ მოთამაშე გუნდების ნაცვლად ნომრებზე გათვალეს და თექვსმეტივე გუნდის წარმომადგენელმა კენჭისყრის შედეგად საკუთარი ნომერი მიიკუთვნა. ჩვენ მეორე ნომერი შეგვხვდა. პირველი წრის რვა მატჩს შინ გავმართავთ, შვიდს — სტუმრად. ეს არის და ეს. როგორც ხედავთ, კალენდარი ვერაფერში დაგვეხმარება, შედეგი, როგორც ყოველთვის, გარჯამ და თამაშმა უნდა მოგვიტანოს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## ტრანსფერი 98

### წავიდნენ

- აბაზაძე *ვიტ ჯორჯია*
- კაპანაძე *ვიტ ჯორჯია*
- გოგიტიძე *ბათუმი*

---

- დავითაშვილი *ცსკა, სოფია, ბულგარეთი*
- ა. ხორხელი *ლოკომოტივი, ნ.ნ.*
- ზაზა ინიაშვილი *?, საქართველო*
- ივანე ბუხრიკიძე *?, საქართველო*
- საბიაშვილი *?, რუსეთი*

### მოვიდნენ

- ხარებავა *თსუ*
- ბერიძე
- ბაჯელიძე *დინამო 2*
- ლომაია *დინამო 2*
- ხუციშვილი *ლოკომოტივი*
- გ. კვეტენაძე *ლოკომოტივი*

---

- ასპინძელაშვილი *ვიტ ჯორჯია*

# მეტალურგი

საბოლოო ადგილი წინა ჩემპიონატში: მეთერთმეტე

# იასონ ალადაშვილი: მიზანი წლეულსაც დარჩენაა

ახლოვდება საქართველოს X საიუბილეო ჩემპიონატი. ახლახან ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა დებულება და კალენდარი დაამტკიცა. გუნდებმაც, ავად თუ კარგად, მოსამზადებელი პერიოდი გაიარეს, ფინანსურად შეჭირვებულმა კლუბებმაც მეტ-ნაკლებად მოახერხეს კრიზისიდან თავის დაღწევა. მოკლედ, ჩვენი პირობების კვალობაზე ჩემპიონატი დასაწყებად მზადაა. შარშანდელი სეზონი რუსთავის „მეტალურგმა“ აშკარად ჩააგდო. მეტიც, გუნდი პირველ ჯგუფს კინაღამ დაემშვიდობა. არადა, რუსთაველთა წარუმატებელი ასპარეზობა ბევრისთვის მოულოდნელი იყო — „მეტალურგი“ ხომ დიდი ტრადიციების გუნდია და ყოველ ჩემპიონატში მაღალი ადგილებისთვის იბრძოდა. თუმცა რუსთაველთა წარუმატებლობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. „მეტალურგის“ დღევანდელ მდგომარეობაზე გუნდის მთავარი მწვრთნელი *იასონ ალადაშვილი* გვესაუბრა.



ალადაშვილი მიმოსვლათა მოწმეა

— შარშანდელი ჩემპიონატის გახსენებაც არ მინდა. ეს სეზონი პრობლემებით იყო აღსავსე. ფეხბურთელებისა და გუნდის ხელმძღვანელობის გაუთავებელ ცვლას ფინანსური პრობლემებიც დაერთო. გეხსომებათ, ხელფასების გადაუხდელობის გამო რამდენიმე თამაში კინაღამ ჩაგვეშალა. ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია, ფეხბურთელს მაღალ შედეგებს ვერ მოთხოვ და ყოველივე ამის გათვალისწინებით მიღწევად ვთვლი, რომ გუნდი პირველი ჯგუფიდან არ გავარდა. აქ თითქმის არავის არ სჯეროდა, რომ ჭიათურაში გასვლით თამაშს მოვიგებდით, „მაღაროელიც“ ხომ ჩვენს დღეში იყო. თავის ქებად არ ჩამითვალოთ, მაგრამ შეუძლებელი შევძელით და ქალაქის 50 წლის იუბილეს მეტ-ნაკლებად ღირსეულად შევხვდით.

**— წინა სეზონში „მეტალურგში“ ორმოცდაექვსმა ფეხბურთელმა ითამაშა, წლეულს რა ცვლილებებია გუნდში?**

— იმ ორმოცდაექვსი ფეხბურთელიდან ნახევარზე მეტი სხვადასხვა კლუბიდან იყო მოწვეული, ამის შედეგად ადგილობრივი ნიჭიერი ბიჭები დაიჩაგრნენ. წლეულს მთავარი აქცენტი რუსთაველებზე გავაკეთეთ. ამ მიზნით გუნდში დავაბრუნეთ გაბელაია, მიშველაძე, ბეჟაური, დავიმატეთ იმედისმომცემი ახალგაზრდები ფარმ-კლუბიდან. გადაწყდა ვარლამ კილასონიას საკითხიც, იგი ჩვენთან ექვსი თვით ჩაირიცხა. ასევე რეალურია გიორგი კილასონიას დაბრუნებაც. მას ამჟამად ტრავმა აწუხებს და, ალბათ, მეორე წრიდან შემოგვიერთდება. ჩვენთან ვარჯიშობს ალექსანდრე ბურნაძეც, მისი გუნდში დარჩენაც თითქმის გადაწყვეტილია.

**— თითქოს ზურაბ არჩვაძის დაბრუნებასაც აპირებდით.**

— არჩვაძის საქმე გაურკვეველია, იგი ამჟამად „მერანში“ ვარჯიშობს და არ არის გამორიცხული, უკეთესი პირობების გამო იქ დარჩეს.

**— ნელ-ნელა მივუახლოვდით მტკივნეულ საკითხს. ფინანსურად არ უნდა გილხინდეთ. გუნდის ეკონომიკურ კრიზისზე აქამდეც ბევრი თქმულა.**

— ჩვენი მდგომარეობა მართლაც საგანგაშო იყო, მაგრამ ღვთის შეწევნით, მგონი, ყველაფერი გამოსწორდა. ქალაქის მერი ბატონი მერაბ ტყეშელაშვილი დაგვპირდა, რომ არსებობისთვის საჭირო პირობებს შეგვიქმნის. ორი დღის წინ გაერთიანებული კრება გვქონდა. დადგინდა, რომ „მეტალურგს“ ბატონები ლაშა მინდელი და გია ხევიაშვილი გაუწევენ კურირებას. მინდელმა ფეხბურთელებს სიტყვა მისცა, კუთვნილ გასამრჯელოს დაუბრკოლებლად მიიღებთო. აქ, რა თქმა უნდა, არ არის საუბარი იმ პირობებზე, რაც თბილისის „დინამოს“ ან „ბათუმს“ გააჩნიათ. ეს მხოლოდ ის სახსრებია, რაც საშუალო გუნდის შესანახადაა საკმარისი.

**— მოსამზადებელ პერიოდში რამდენიმე საკონტროლო მატჩის გამართვა მოახერხეთ. დარჩენილ დროში თუ აპირებთ მსგავსი თამაშების ჩატარებას?**

— მოსამზადებელი ციკლის განვლილი პერიოდი მეტად მწირი იყო იმ თვალსაზრისით, რომ გუნდმა მხოლოდ სამი თამაშის გამართვა შეძლო. 2:4 დავმარცხდით „ვიტ ჯორჯიასთან“, შემდეგ რუსთავში რევანში ავიღეთ და 3:2 მოვიგეთ, რამდენიმე დღის წინ კი „ლოკომოტივის“ ძლიერ გუნდთან წავაგეთ 0:2. თუმცა გუნდის მზადყოფნით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. უახლოეს დღეებში ამხანაგურ მატჩს ვგეგმავთ აზერბაიჯანის „თაუზთან“, ჩემპიონატის წინ კი, ალბათ, „მერანს“ ან რომელიმე თბილისურ გუნდს შევხვდებით.

**— გუნდის დღევანდელი შესაძლებლობიდან გამომდინარე რა მიზანს ისახავთ ჩემპიონატში?**

— ჩვენი მიზანი ჯგუფში დარჩენაა. ასევე შევეცდებით, ათეულის მიღმა არ აღმოვჩნდეთ. ისე, ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. ვნახოთ, რა იქნება.

**— და ბოლოს, რა სახელით იასპარეზებს გუნდი?**

— ჯერჯერობით ეს არ არის გადაწყვეტილი. ისე, ხუმრობით გეტყვით, წინა სეზონში „რუსთავის“ სახელწოდებით ასპარეზობამ ხეირი ვერ მოგვიტანა. ვფიქრობ, ძველ ტრადიციას დავუბრუნდებით და გუნდს ისევ „მეტალურგს“ ვუწოდებთ.

**პაატა ძვანტალიანი**

## ტრანსფერი 98

### წავიდნენ

- მთავარი მწვრთნელი
- გაიოზ დარსაძე
- *სამგურალი*
- ბ. შენგელია *დინამო*
- ფეზუაშვილი *დილა*
- ჩუხუა *ურალანი, რუსეთი*
- ლაშა სილაგაძე *სკონტო*
- მენთეშაშვილი *?, საქართველო*
- ცომაია *?, საქართველო*
- ყიფიანი *?, საქართველო*
- ბოკერია *?, საქართველო*
- კუდინოვი *?, საქართველო*
- ზ. გვაზავა *?, საქართველო*
- პავლიაშვილი *?, საქართველო*
- არზიანი *?, საქართველო*
- ჭიაბრიშვილი *?, საქართველო*
- დ. არჩვაძე *?, საქართველო*

---

- კ. ალადაშვილი *?, უცხოეთი*

### მოვიდნენ

- ჯ. წიკლაური *სიონი*
- ბურნაძე *ლოკომოტივი, სანქტ პეტერბურგი, რუსეთი*

---

- ვ. კილასონია *ყუბანი, რუსეთი*

# ისიც წავიდა

ის წავიდა, უფრო სწორად, გაუშვეს.

გუშინ, 28 ივლისს, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ განაცხადა, რომ ნაკრების მწვრთნელი მარიო ზაგალო გუნდს აღარ უთავკაცებს. ზაგალოს ერა ბრაზილიურ ფეხბურთში დასრულდა.

— გადაწყვეტილება ფედერაციამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მიიღო. მწვრთნელთა მოღვაწეობა ნაკრებში დადებითად შეფასდა, თუმცა საბოლოოდ მათი გუნდიდან წასვლა გახდა საჭირო. ჩვენ გვჭირდება ხალხი, რომლებიც გუნდში 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე იმუშავებენ. ჩვენ გვჭირდება ხალხი, რომლებიც ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობას მოაპოვებინებენ — განაცხადა ტეიშეირამ.

ბრაზილიის ნაკრებისა და მარიო ზაგალოს გზები გაიყარა, ახლა მათ მოგონებებიღა აკავშირებთ.

— ჩემთვის დაუვიწყარია ქვეყნის პირველ გუნდში გატარებული წლები. კარგა ხანს ვმოღვაწეობდი ნაკრებში, თუმცა საბოლოოდ მას დავშორდი. ძალიან მინდოდა, გუნდს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დასაკუთრებაში დავხმარებოდი. სამწუხაროდ, არ გამოვიდა — ზაგალო ნაღვლიანი ჩანდა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ბრაზილიამ 0:3 წააგო.

ასეთი რამ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს უდიდეს საფეხბურთო ტურნირების ისტორიაში არასდროს დამართოდათ. 68 წლის მანძილზე მათ არავისთან წაეგოთ სამი ბურთის სხვაობით. ზაგალოს და მის თანაშემწეთა გუნდიდან წასვლა ძირითადად ამ მიზეზმა განაპირობა.

ვინ შეცვლის მარიო ლობო ზაგალოს?

— კანდიდატების ჩამოთვლას ახლა არ შევუდგები. რამდენიმე მათგანი შეგულებული გვყავს, თუმცა საკითხს სანამ დაწვრილებით არ შევისწავლით, მანამდე მწვრთნელის ვინაობას არ დავასახელებთ. ჩვენ გვჭირდება სპეციალისტი, ამასთანავე პიროვნება, გუნდში, მინიმუმ ოთხი წლით მუშაობა რომ ძალუძს — ეს სიტყვები იმავე ტეიშეირას ეკუთვნის.

მაინც ვინ იქნება ზაგალოს მემკვიდრე? კანდიდატთა შორის ასახელებენ კარლოს ალბერტო პარეირას, რომლის წყალობითაც ბრაზილიელებმა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატი მოიგეს. ისიც შესაძლებელია, გუნდი ამჟამად „პალმეირასის" მწვრთნელმა ფილიპე სკოლარიმ ჩაიბაროს, ანაც „კორონტიანსის" თავკაცმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ გაწვრთნას.

ბრაზილიელთა მწვრთნელს აგვისტოს შუაში დაასახელებენ.



სარბიელის არქივიდან

ბრაზილიელთა თავკაცები — ესენი ისტორიის კუთვნილებანი გახდნენ

# საფრანგეთში რატომ უნდა წავსულიყავი?!

**მათიას ზამერს გულშემატკივრის წინაშე წარდგენა ალბათ არ სჭირდება. 1996 წელს ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა და დეკემბერში კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს. შემდეგ ზამერმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად საკლუბო დონეზე, დორტმუნდის „ბორუსიას" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა. მერე დორტმუნდელებმა საკონტინენტთაშორისო თასიც მოიგეს, მაგრამ იმ მატჩში ზამერს აღარ უთამაშია, ტრავმის გამო ის თითქმის ერთი წელია, უქმადაა. უზამეროდ დარჩენილმა „ბორუსიამ" ევროთასების საგზურის მოპოვება ვერ შეძლო. გუნდმა ბუნდესლიგის უკანასკნელი ჩემპიონატი ცხრილის შუაში დაასრულა, ნაკრებმა კი მსოფლიოს ჩემპიონატი მეოთხედფინალის შემდეგ დატოვა. ბოლო ხანს საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, 31 წლის ფეხბურთელი კარიერას ასრულებსო. სწორედ ამ და სხვა საკითხებს შეეხო მასთან საუბრისას პოპულარული გაზეთი „ბილდი"**

**— მათიას, ნუთუ ურიცხვ თაყვანისმცემელს თქვენი მოედანზე ხილვის შესაძლებლობა აღარ მიეცემა?**

— ბევრი ვიფიქრე და საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე: ფეხბურთელად ვრჩები. ჩემი უმთავრესი მიზანი მოედანზე რაც შეიძლება სწრაფი დაბრუნებაა და ამისთვის ყველაფერს გავიღებ. კონკრეტულ ვადას ვერ გეტყვით, ეს შეიძლება წლეულს არც მოხდეს, მაგრამ ვეცდები, სასურველი დღე მალე მოვიყვანო. არ მინდა, ქომაგებს წინასწარ რამეს დავპირდე და შემდეგ გავაწბილო.

**— ოპერაცია 15 ოქტომბერს გაგიკეთეს, რატომ გაგრძელდა სარეაბილიტაციო პერიოდი ამდენ ხანს?**

— ოპერაციის შემდეგ ინფექცია შემეჭრა, რამაც მდგომარეობა გამირთულა, ფიზიკურადაც დავსუსტდი. ახლა ვგრძნობ, რომ გამოჯანმრთელების გზას ვადგავარ.

**— სამი თვის წინ თქვენ განაცხადეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე აპირებდით თამაშს...**

— მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, გამონაკლისი არც მე ვარ. როდესაც ეს ვთქვი, იმედი მქონდა, რომ მალე ვარჯიშს შევუდგებოდი და ფორმას აღვიდგენდი. მზადება დავიწყე კიდეც, მაგრამ საშინელმა ტკივილებმა განზრახვაზე ხელი ამაღებინა.

**— რატომ არ მიიღეთ ფოგტსის წინადადება, საფრანგეთში გაყოლოდით ნაკრებს?**

— რატომ უნდა მიმეღო? ფეხბურთში დარჩენა უკვე გადაწყვეტილი მქონდა და ამიტომ ვერც 23-ე ნომრად წავიდოდი და ვერც მწვრთნელად.



სარბიელის არქივიდან

მათიას ზამერი დიდი ხანია მოედანზე არ გამოჩენილა

**— როგორ შეაფასებდით გერმანიის ნაკრების გამოსვლას მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

— უკეთესს ნამდვილად მოველოდი. საფრანგეთში გუნდს შესაძლებლობების ნახევარიც არ გამოუვლენია. ბევრი მიზეზი ასახელდება, მაგრამ მე ასე ვფიქრობ, გამოცდილებაც, ტექნიკა, ტალანტები, ჩემპიონატს ვერ მოიგებდნენ.

**— ეფენბერგისა და ფოგტსის დამოკიდებულებაზე რას იტყვით?**

— ყოველთვის ვთვლიდი, რომ ნაკრებში საუკეთესონი უნდა თამაშობდნენ. აქ სხვა დონე და პასუხისმგებლობაა. გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, რასაც ეფენბერგი ამბობს, არამედ იმას, რასაც აკეთებს. თუმცა ფოგტსი მას დაელაპარაკება და იმედი მაქვს, ყველაფერი გაირკვევა.

**— თქვენ ლარს რიკენთან ერთად დიდი ხანი ერთ ოთახში ცხოვრობდით, ფოგტსმა ეს ნიჭიერი ფეხბურთელი ნაკრებში არ წაიყვანა...**

— ლარსს ჯანმრთელობის მხრივ, გარკვეული პრობლემები გაუჩნდა და ფორმიდან ამოვარდა. ამისთვის კრიტიკის ქარცეცხლიც დაატყდა, თუმცა იგი ჯერ 21 წლისაა და თავისი მიზანსწრაფვით ბევრს მიაღწევს. რაც შეეხება საფრანგეთში მის არწაყვანას, რიკენი მაინც გამოუცდელია. კოლერი, მაგალითად, ასაკის მომატებასთან ერთად, უფრო მოძრავი, მობილიზებული და პროფესიონალი გახდა. ახალგაზრდებისთვის იგი ნამდვილი ნიმუშია. მათ კოლერს უნდა მიბაძონ და ბევრ სასიკეთოს ისწავლიან. ჩვენი, ვეტერანების სურვილიც ეს არის, ახალგაზრდებს აუცილებლად დავეხმარებით.

**— როდესაც „შტუტგარტში" მოხვედით, 22 წლის იყავით, მაგრამ ასაკს და გამოუცდელობას ხელი არ შეუშლია, გუნდის ლიდერი გამხდარიყავით.**

— ჩემს ლიდერად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მწვრთნელებს, კრისტოფ დაუმსა და ული ჰოინესს მიუძღვით. ისინი ყოველ შეცდომაზე მიმითითებდნენ და მის გამოსწორებაში მეხმარებოდნენ. კრიზისის დროსაც მათ უდიდეს თანადგომას ვგრძნობდი, რისთვისაც მუდამ მადლობელი ვიქნები.

თარგმნა
**ვანო ოქროპირიძემ**

**ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**
საპასუხო მატჩი. 27 ივლისი

ტორსჰავენი (ფარერები) — *ბეითარი* (ისრაელი) 0:1 (1:4)
0:1 ჰამარი (68)

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიის** ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები: ვასკო და გამა — კორინთიანსი 0:1, ფლამენგო — ბოტაფოგო 1:1, პალმეირასი — სან პაულუ 2:1, ინტერნასიონალი — გრემიო 1:0, ატლეტიკო მინეირო — კრუზეირო 1:1, პორტუგეზა — ამერიკა 2:1, გუარანი — პონტე პრეტა 2:0, ხუვენტუდი — პარანა 3:0, ატლეტიკო PR — კურიტიბა 2:2, სანტოსი — ბრაგანტინო 2:0, ამერიკა RN — სპორტ რესიფე 0:4, ვიტორია — გოიასი 1:2.

**ფრანგი ნახევარმცველი ოლივიე დაკურტი 3,8 მილიონ გირვანქად (6,30 მილიონი დოლარი) მშობლიური „სტრასბურიდან" ლივერპულის „ევერტონში" გადავიდა. 23 წლის ფეხბურთელმა უკვე გაიარა სამედიცინო ტესტი და თავის ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს „ევერტონის" ახალდანიშნული თავკაცის ვოლტერ სმიტის მეორე შენაძენია, მანამდე მან იტალიელი მცველი მარკო მატერაზიში 2,5 მილიონი გირვანქა (4,15 მილიონი დოლარი) გადაიხადა. დაკურტმა სმიტის ყურადღება შარშან მიიპყრო, როდესაც ძლიერ დაეხმარა „სტრასბურს" სმიტის ყოფილი გუნდის „გლაზგო რეინჯერსის" უეფას თასის გათამაშებიდან გამოთიშვაში. ფრანგმა ფეხბურთელმა „სტრასბურის" შემადგენლობაში 61 თამაში ჩაატარა და ოთხი გოლის გატანა მოახერხა. გავრცელდა ხმები, რომ სმიტი „მონაკოდან" შოტლანდიის ნაკრების ნახევარმცველის ჯონ კოლინზის გადაბირებასაც ცდილობს.**

**ინგლისელმა** სპეციალისტმა ბობი რობსონმა ჰოლანდიურ „ეინდჰოვენთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და დიდი იმედი აქვს, რომ ეს სამშობლოში დაბრუნებასა და იქ წარმატებული საქმიანობის დაწყებაში ძლიერ დაეხმარება. 65 წლის რობსონმა ჰოლანდიური კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიკ ადვოკაატი შეცვალა, რომელიც შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსს" ჩაუდგა სათავეში. წარსულში რობსონი პორტუგალიურ „პორტოსა" და ლისაბონის "სპორტინგს", ესპანურ „ბარსელონას", აგრეთვე ინგლისის ნაკრებს წვრთნიდა, რომელთან ერთადაც 1990 წელს იტალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნახევარფინალამდე მიაღწია. ყველაზე კარგად კი ინგლისელ მწვრთნელს თურმე კატალონიაში გატარებული ორი წელი ახსენდება — პირველ სეზონში იგი თავკაცი იყო, ხოლო მეორეში სატრანსფერო საკითხების დირექტორი: „დღესაც მენატრება ის ქალაქიც და კლუბიც. ბარსელონაში მუშაობამ უდიდესი სიხარული მომგვარა. მართალია, უსიამოვნო მომენტებიც მახსენდება, მაგრამ დადებითი ემოციები გაცილებით სჭარბობს. ბარსელონა სიცოცხლის ბოლო წუთამდე მემახსოვრება" — აღნიშნა რობსონმა და დაამატა, რომ ერთი წლის შემდეგ „ეინდჰოვენს" დატოვებს და სამუდამოდ გადავა ინგლისში სამუშაოდ.

**შვედმა ნახევარმცველმა იესპერ ბლომკვისტმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ 4,4 მილიონ გირვანქად (7 მილიონი დოლარი), „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა, განაცხადა, რომ არ უნდოდა „პარმას" დატოვება: „მანჩესტერში გადაბარგება არ მსურდა, პარმაში ხომ მშვენივრად ვგრძნობდი თავს. იტალიიდან ჩემი წამოსვლის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ „პარმას" მწვრთნელმა მითხრა, ჩემს სისტემას ვერ ერგებიო. თუმცა „იუნაიტედიც" არ მეუცხოება — აქ ბევრი სკანდინაველი თამაშობს და ისინი ადაპტაციაში დამეხმარებიან" — აღნიშნა ბლომკვისტმა.**

**ხორვატიის** ნაკრების ფეხბურთელი რობერტ იარნი, შესაძლოა, „ბეტისიდან" ინგლისურ „ქოვენთრი სიტიში" გადავიდეს. გუნდის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები ფეხბურთელთან უკვე გაიმართა და საკმაოდ წარმატებულადაც: „29 წლის იარნი ყაბულსაა ჩვენს პირობებზე. ახლა მთავარი ის არის, შევთანხმდებით თუ არა სატრანსფერო თანხაზე. ყველაფერი "უახლოეს დღეებში გაირკვევა". ამჟამად „ქოვენთრი" სეზონისწინა შეკრებაზე შოტლანდიაში იმყოფება.

**მაროკოს ნაკრების მცველი რაშიდ ნეიბი ორი თვის განმავლობაში ვერ იასპარეზებს — მან ორშაბათს მარჯვენა მუხლის სერიოზული ოპერაცია გაიკეთა და თავის კლუბს, იტალიურ სერია A-ში მოასპარეზე „ბარის" სეზონის დასაწყისში ვეღარ დაეხმარება. ნეიბი „ბარიში" შარშან გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. იტალიის ჩემპიონატი 13 სექტემბერს დაიწყება.**

**თურქულ** „ფენერბახჩეში" მოთამაშე ნიგერიის ნაკრების ნახევარმცველი ჯეი ჯეი ოკოჩა მალე, ალბათ, ფრანგულ „პარი სენ ჟერმენს" მიაშურებს. „გუშინ ფრანგულ მხარეს მოველაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ ოკოჩა თურქეთს დატოვებს" — განაცხადა „ფენერბახჩეს" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აბდულა კიგილიმ. საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მშვენივრად მოასპარეზე ოკოჩა თურქულ კლუბში 1996 წელს ფრანკფურტის „აინტრახტიდან" გადავიდა.

**ესპანური** გაზეთის „მარკას" ცნობით, **დიეგო მარადონა, შესაძლოა, ამ ქვეყნის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ბადახოსში" გადავიდეს. კლუბის პრეზიდენტი მაურისიო ტინელი, რომელიც არგენტინელია და სამშობლოში საკმაოდ პოპულარულ პიროვნებად ითვლება, მარადონას პირად აგენტს გილერმო კოპოლას დაუკავშირდა. ამ უკანასკნელმა კი განაცხადა: „დღეისთვის კონკრეტულად არაფერი გადაგვიწყვეტია, მხოლოდ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ერთი კვირის შემდეგ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, უფრო სერიოზული საუბარი გვექნება და ყველაფერი ამის მერე გაირკვევა". თავად მარადონა კი არაფერს ამბობს. როგორც ცნობილი გახდა, მას ახლახან უთქვამს, რომ მწვრთნელობის, განსაკუთრებით პრემიერლიგაში მოთამაშე გუნდების თავკაცობის დიდი სურვილი აქვს, თუმცა ამ განცხადებას არავინ გამოხმაურებია.**

**ინგლისური** „ნიუკასლ იუნაიტედის" წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი სამსაათიანი ვარჯიშის შემდეგ საკუთარ ოთახებში დაბრუნებულ ფეხბურთელებს ქურდებმა 17 000 გირვანქის ღირებულების ნივთები მოპარეს. პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებებში აღნიშნულია, რომ გუნდის. ბელგიელ ლეგიონერ ფილიპ ალბერს 13 700 გირვანქად შეფასებული „როლექსის" ოქროს საათი, იტალიელ ალესანდრო პისტონეს 3 000 გირვანქიანი ამავე ფირმის საათი, ხოლო ნახევარმცველ გარი ბრედის ხელის ოქროს ძეწკვი მოპარეს. ადგილობრივი პოლიციის შეფის განცხადებით, გამოძიება უკვე დაიწყო.

**ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრების თავდამსხმელ დუაიტ იორკთან დაკავშირებული სატრანსფერო ციებ-ცხელება სადაცაა დასრულდება. მისმა ამჟამინდელმა კლუბმა „ასტონ ვილამ" „მანჩესტერ იუნაიტედისგან" ფეხბურთელის სანაცვლოდ ასტრონომიული თანხა — 16 მილიონი გირვანქა (25 მილიონი დოლარი) მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. თუმცა მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება და ინგლისური პრესის ცნობით, ალბათ, ყველაფერი მომავალ კვირაში გაირკვევა.**

**ჰოლანდიის** ფეხბურთის ფედერაციაში კვლავ მიმდინარეობს ამსტერდამის „აიაქსისა" და ძმებ დე ბურებს შორის არსებული უთანხმოების განხილვა. როგორც ცნობილია, ორივე ძმას უცხოურ კლუბებში სურს კარიერის გაგრძელება — ფრანკს „ბარსელონაში", ხოლო რონალდს „არსენალში". ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო გამარჯვებულს კი მათი გაშვება არ უნდა. საგანგებო კომისიის წევრთა განცხადებით, ეს მეტად რთული პრობლემაა და მის გადაწყვეტას დაახლოებით ორი კვირა დასჭირდება.

**მონღოლეთის ფეხბურთის ფედერაციამ, ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ რომ გაწევრიანდა ფიფაში, განაცხადა უახლოეს მომავალში კლუბების რეგისტრაციას დავიწყებთ, შესაბამისად მონღოლეთის ჩემპიონატსაც საფუძველი ჩაეყრება, თუ ფიფამ იდეა მოიწონა.**



ზდენეკ ზემანი

# რა დოპინგი, რის დოპინგი

**იტალიური** „კორიერე დელო სპორტის" თანახმად, „რომას" ჩეხმა მწვრთნელმა, ზდენეკ ზემანმა ქვეყანაში დიდი სკანდალი გამოიწვია. კერძოდ, ზემანმა განაცხადა, რომ სერია A-ს მოთამაშეთა შორის ერთობ გავრცელებულია დოპინგი და დასძინა, რომ დროა სტიმულატორებთან დაკავშირებით ფეხბურთშიც გამოიცეს რაიმე კანონი. ამასთან, ზემანს კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია.

„ფეხბურთი წამლებისგან უნდა გაიწმინდოს. იგი ფინანსურ სამყაროსაც უნდა ჩამოსცილდეს, თორემ ველარასოდეს გახდება სპორტის სახეობა. ახლა ფეხბურთი ხომ სპორტი" აღარაა — უთქვამს ჩეხს.

„რომას" თავკაცის ასეთმა ბრალდებამ მის კოლეგებს შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ზოგიერთმა მათგანმა კატეგორიულად მოითხოვა დამნაშავეთა დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში ჩივილით დაიმუქრნენ.

აღშფოთებულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური „ბარის" ხელმძღვანელები გახლდნენ, მაგრამ დახეთ ბედის ირონიას, მათი ყოფილი მოთამაშე, ამჟამად „ჰამბურგის" ფეხბურთელი თომას დოლი თურმე 16 მარტს სტეროიდ „ბენზბრომარონის" მიღებაში გამოუჭერიათ. ეს ცნობა იტალიის ოლიმპიური კომიტეტიდან გამოიპარა.

ზემანის საპირისპირო მოსაზრებისაა „იუვენტუსის" ცნობილი მწვრთნელი, მარჩელო ლიპი.

„საფეხბურთო სამყარო წმინდაა და დოპინგისგან მკურნალობა არ სჭირდება" — თქვა მან.

დაახლოებით იგივე განაცხადა „ფიორენტინას" სპორტულმა დირექტორმა, წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა, ჯანკარლო ანტონიონიმ:

„ზემანმა ძალიან სერიოზული ბრალდებები წამოაყენა, განსაკუთრებით ფარმაცევტიასთან დაკავშირებით, მაგრამ არ მჯერა, რომ ამ სენს ფეხბურთშიც ჰქონდეს ფესვები გამდგარი. მოთამაშეები ხომ ყოველ კვირას გადიან შემოწმებას".

„იუვენტუსის" ექიმმა, რიკარდო აგრიკოლამ ზემანს შეახსენა, რომ ასეთი განცხადება მას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს:

„ვიცი, რომ აკრძალული წამლების მიღება ყოვლად შეუძლებელია".

# ბრაზილიური მისტერიები

„ეს ამბავი ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლო გახდება" — წერდა ამასწინათ ბრაზილიური სპორტული გაზეთის „ლანსის" რედაქტორი, დიოგუ მოურაუ.

ყველაფერი ნათელია, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა ქვეყანაში ისევ 12 ივლისის ამბავს იკვლევენ. კითხვა ასეთია: რატომ ვერ ითამაშა მსოფლიოს ბოლო ორი წლის საუკეთესო ფეხბურთელმა, რონალდომ „სტად დე ფრანსზე" საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ბრწყინვალედ?

მოგეხსენებათ ექიმის, ფეხბურთელებისა და საკუთრივ რონალდოს გამოკითხვის შედეგად რა სურათიც დაიხატა: შუადღისას, სადილის შემდეგ, სასტუმროს ოთახში დასასვენებლად დაბრუნებული თავდამსხმელი დაახლოებით 40-წამიანმა შეტევამ შეიპყრო. მასთან ერთად ნომერში მყოფმა რობერტო კარლოსმა დაუძახა გუნდის ექიმს ლიდიო ტოლედოს, რომელმაც რონალდო საავადმყოფოში გააქანა. საფუძვლიანმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ რონალდოს არაფერი სჭირს, რის შედეგადაც დიქტორმა ტოლედომ დაასკვნა, რომ ფეხბურთელს ნერვული სტრესი ჰქონდა. ამასობაში ნაკრები სასტუმროდან აიყარა და „სტად დე ფრანსზე" მივიდა. ბუნებრივია, მწვრთნელმა მარიო ზაგალომ იმ მოთამაშეთა შორის, რომელთაც საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ უნდა ემოქმედათ, რონალდო არ დაასახელა. იმავდროულად, ბრაზილიურმა ბანაკმა გაავრცელეს ოფიციალური ცნობა, თითქოს რონალდოს კოჭის ტკივილმა არ გაუარა და ამიტომ არაა თერთმეტ კაცს შორის. ამასობაში სტადიონზე მიდის რონალდოც და აცხადებს, რომ თამაშის ძალა შესწევს. იმ მოტივით, რომ რონალდოს მოედანზე არ გაშვება არ დაბრალებოდა, ზაგალომ ადრე დასახელებული შემადგენლობა შეცვალა და სათამაშოდ გაიყვანა კაცი, რომელმაც რამდენიმე საათის წინ გონება დაკარგა.

„მთელი მატჩის განმავლობაში მინდოდა რონალდოს შეცვლა, მაგრამ იგი მეუბნებოდა, თავს კარგად ვგრძნობო" — თქვა მოგვიანებით ზაგალომ.

მაშ ასე, განტევების ვაცი ნაპოვნია. ბრაზილიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ სან-პაულუში რონალდოს ნომრიანი მაისურები და მისი გამოსახულებიანი სხვადასხვა საგნები აღარ იყიდება. მოვაჭრენი ფასს ანახევრებენ, მაგრამ ამაოდ.

მაგრამ არც ესაა მთავარი. მთავარია მიზეზი, რომელიც ბრაზილიელი ხალხის რწმენით საიდუმლოა, რადგან შეუძლებელია მარტივი იყოს. აი, რამდენიმე ვერსია:

ნაკრების სპონსორმა ფირმა „ნაიკმა" რონალდოს ისეთი ბუცების ჩაცმა აიძულა, რომელიც უჭერდა. ცხადია, „ნაიკმა" ოფიციალურად უარჰყო ეს ამბავი.

მსოფლიოში მიმდინარეობს ვაჭრობა მომავალი ჩემპიონატების ჩატარების ადგილებზე. ამის გამო რამდენიმე დიდი სახელმწიფოს მთავრობებმა საიდუმლო გარიგება დადეს და რონალდო აიძულეს, ცუდად ეთამაშა.

საყვარელმა, სუზანა ვერნერმა ფეხბურთელი აეჭვიანა.

სხვათა შორის, ამ ბოლო ვერსიამ რონალდოცა და სუზანა ვერნერიც გაზეთების სპორტული გვერდებიდან საზოგადოებრივი სექციის გვერდებზე გადაისროლა.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ჩაშალა ამხანაგური მატჩი იაპონიასთან. იაპონური მხარის განცხადებით, მიზეზი ზაგალოს შემცვლელის ძებნაა.

EURO 2000

ჩვენი ჯგუფი

# შენი ვარ, შენთვის მოვკვდები

ნორვეგიის ნაკრების თავდამსხმელმა ოლე გუნარ სილსკიაერმა განაცხადა, რომ ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედიდან" წასვლას არ აპირებს. მას სურს, გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაიბრუნოს ადგილი. მოგეხსენებათ, გასულ სეზონში სოლსკიაერს ტრავმები მიეძალა და მანჩესტერელთა თამაშებში ხშირად ველარ მონაწილეობდა.

ნორვეგიელ ფორვარდს „იუნაიტედში" კონტრაქტის თანახმად კიდევ ექვსი წელიწადი აქვს გასატარებელი. დღეისთვის მისი ნიჭი და ოსტატობა 5 მილიონ გირვანქადაა შეფასებული და ამ თანხის გადებას „ევერტონის" თავკაცი ჰოვარდ კენდალი აპირებდა კიდეც, მაგრამ ფეხბურთელს, როგორც მოგახსენეთ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დარჩეს იქ სადაც მშობლიური „მიოლდედან" გადასვლის შემდეგ ჩინებული პირველი სეზონი გაატარა. იმ ჩემპიონატში სოლსკიაერმა პრემიერლიგის 25 შეხვედრაში 17 გოლი გაიტანა, შემდეგ კი...

„ვგონებ, გასულ ჩემპიონატში „მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითადში იშვიათად რომ ვთამაშობდი, სხვა კლუბების გააქტიურება ამან გამოიწვია. უამრავი წინადადება მივიღე, მაგრამ ყველაზე უარი ვთქვი. მე „იუნაიტედის" 1998-99 წლების სეზონი მაინტერესებს. ბოლოხანს ტრავმებმა გამაწამა, მაგრამ ესეც ხომ გამოცდილებაა და ახლა მინდა ისევე ვითამაშო, როგორც იმ წელიწადს, ინგლისში პირველად რომ ჩამოვედი. ხელშეკრულებით კიდევ ექვსი წელიწადი მანჩესტერში უნდა გავატარო, მე კი მინდა, მთელი კარიერა აქ გავლიო.



სარბიელის არქივიდან

ოლე გუნარ სოლსკიაერი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა.

29 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სენტ პატრიკი (ირლანდია) — სელტიკი (შოტლანდია) | (—-—) | 4,0 | 3,0 | 1,7 |
| ვესტმანაეიარი (ისლანდია) — ობილიჩი (იუგოსლავია) | (15,0-1,01) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ერევანი (სომხეთი) — ჰიკი (ფინეთი) | (5,0-1,1) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ჰალმშტადი (შვედეთი) — ლიტექსი (ბულგარეთი) | (1,9-1,55) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ფლორა (ესტონეთი) — სტიაუა (რუმინეთი) | (50,0-—) | 7,0. | 3,5 | 1,4 |
| ქიაფაზი (აზერბაიჯანი) — ლკს (პოლონეთი) | (25,0-—) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| მარიბორი (სლოვენია) — კარედა (ლიტვა) | (—-25,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ვლაზნია (ალბანეთი) — დინამო (საქართველო) | ანგარიში 5,0 | | | |
| ანორთოსისი (კვიპროსი) — ლა ვალეტა (მალტა) | (—-25,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| უიპეშტი (უნგრეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა) | (1,4-2,3) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ჟენესი (ლუქსემბურგი) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (500,0-—) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| ბარი თაუნი (უელსი) — დინამო (უკრაინა) | (500,0-—) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| ბრიუგე (ბელგია) — სილექსი (მაკედონია) | (1,1-5,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| კოშიცე (სლოვაკეთი) — კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია) | (—-500,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| დინამო (ბელარუსი) — სკონტო (ლატვია) | (1,25-3,1) | 1,5 | 3,2 | 5,0 |

### უეფას თასი.

29 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დინამო (აზერბაიჯანი) — არჯეში (რუმინეთი) | (25,0-—) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ცსკა (ბულგარეთი) — ბელშინა (ბელარუსი) | (1,1-5,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — ომონია (კვიპროსი) | (15,0-1,01) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბირკირკარა (მალტა) — შახტიორი (უკრაინა) | (7,5-1,05) | 7,5 | 3,4 | 1,4 |
| ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — კოლხეთი (საქართველო) | ანგარიში 5,0 | | | |
| ტირანა (ალბანეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) | (7,5-1,05) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პოლონია (პოლონეთი) — სადამი (ესტონეთი) | (—-25,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ვაასა (ფინეთი) — ჰაფნარი (ფარერები) | (—-—) | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| კილმარნოკი (შოტლანდია) — ჟელეზნიჩარი (ბოსნია) | (1,15-4,0) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| დაუგავა (ლატვია) — მურა (სლოვენია) | (25,0-—) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ჟალგირისი (ლიტვა) — აკრანესი (ისლანდია) | (—-—) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ფინპა (ფინეთი) — ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) | (5,0-1,1) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მალმიო (შვედეთი) — შირაქი (სომხეთი) | (—-100,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| რეინჯერსი (შოტლანდია) — შელბურნი (ირლანდია) | (—-100,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| სლოგა (მაკედონია) — ოცელული (რუმინეთი) | (7,5-1,05) | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| პრინჩიპატი (ანდორა) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | (500,0-—) | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| ანდერლეხტი (ბელგია) — ტილიგული (მოლდოვა) | (—-25,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ვისლა (პოლონეთი) — ნიუთაუნი (უელსი) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### ინტერტოტოს თასი. მე-4 ეტაპი. პირველი მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუხი (პოლონეთი) — დებრეცენი (უნგრეთი) | (1,6-1,8) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სიტარდი (ჰოლანდია) — ზალცბურგი (ავსტრია) | (1,7-1,7) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვერდერი (გერმანია) — სამსუნსფორი (თურქეთი) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ბასტია (საფრანგეთი) — ვოივოდინა (იუგოსლავია) | (1,15-4,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ბოლონია (იტალია) — სამპდორია (იტალია) | (1,7-1,7) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ესპანიოლი (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) | (1,9-1,55) | 1,9 | 2,8 | 4,4 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XVIII ტური

29 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| როსტსელმაში — შინიკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| როტორი — ჩერნომორეცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ტორპედო — ზენიტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ცსკა — ლოკომოტივი | 4,0 | 3,0 | 1,7 |
| სპარტაკი — დინამო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ტიუმენი — ჟემჩუჟინა | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| ბალტიკა — ალანია | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| კრილია სოვეტოვი — ურალანი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. I ტური

29 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტურმი — აუსტრია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლინცერი — ლუსტენაუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| შტაირი — გრაცერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტიროლი — რიდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. I ტური

30 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰანოვერი — კარლსრუე | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში

| | | | |
|---|---|---|---|
| კორეა — ლიტვა | 17,0 | 9,0 | 1,01 |
| აშშ — ბრაზილია | 1,15 | 9,0 | 5,0 |
| ნიგერია — ესპანეთი | 14,0 | 9,0 | 1,02 |
| ავსტრალია — არგენტინა | 1,3 | 9,0 | 3,4 |
| იაპონია — რუსეთი | 17,0 | 9,0 | 1,01 |
| იუგოსლავია — პუერტო რიკო | 1,05 | 9,0 | 9,0 |
| სენეგალი — იტალია | 17,0 | 9,0 | 1,01 |
| საბერძნეთი — კანადა | 1,05 | 9,0 | 9,0 |

| კორეა<br>31-და მეტი | 21-30 ქულა | 11-20 ქულა | 1-10 ქულა | ლიტვა<br>1-10 | 11-20 ქულა | 21-30 ქულა | 31-და მეტი ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 500,0 | 100,0 | 50,0 | 20,0 | 3,0 | 2,0 | 2,0 | 3,0 |
| **იაპონია** | | | | **რუსეთი** | | | |
| 31-და მეტი | 21-30 | 11-20 | 1-10 | 1-10 | 11-20 | 21-30 | 31-და მეტი |
| 500,0 | 100,0 | 50,0 | 20,0 | 4,0 | 2,5 | 2,0 | 1,5 |
| **აშშ** | | | | **ბრაზილია** | | | |
| 31-და მეტი | 21-30 | 11-20 | 1-10 | 1-10 | 11-20 | 21-30 | 31-და მეტი |
| 4,0 | 2,0 | 2,0 | 2,0 | 5,5 | 8,0 | 20,0 | 30,0 |
| **იუგოსლავია** | | | | **პუერ. რიკო** | | | |
| 31-და მეტი | 21-30 | 11-20 | 1-10 | 1-10 | 11-20 | 21-30 | 31-და მეტი |
| 3,5 | 2,5 | 2,0 | 2,0 | 9,0 | 15,0 | 25,0 | 40,0 |
| **ნიგერია** | | | | **ესპანეთი** | | | |
| 31-და მეტი | 21-30 | 11-20 | 1-10 | 1-10 | 11-20 | 21-30 | 31-და მეტი |
| 200,0 | 50,0 | 25,0 | 15,0 | 3,0 | 2,0 | 2,0 | 3,0 |
| **სენეგალი** | | | | **იტალია** | | | |
| 31-და მეტი | 21-30 | 11-20 | 1-10 | 1-10 | 11-20 | 21-30 | 31-და მეტი |
| 500,0 | 100,0 | 50,0 | 20,0 | 6,0 | 2,0 | 1,5 | 1,5 |
| **ავსტრალია** | | | | **არგენტინა** | | | |
| 31-და მეტი | 21-30 | 11-20 | 1-10 | 1-10 | 11-20 | 21-30 | 31-და მეტი |
| 7,0 | 4,0 | 2,5 | 1,6 | 3,5 | 5,0 | 8,0 | 15,0 |
| **საბერძნეთი** | | | | **კანადა** | | | |
| 31-და მეტი | 21-30 | 11-20 | 1-10 | 1-10 | 11-20 | 21-30 | 31-და მეტი |
| 3,0 | 2,5 | 2,0 | 2,5 | 10,0 | 20,0 | 40,0 | 100,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

დასრულდა ფოთის საერთაშორისო ტურნირი „ოქროს ტბის ოსტატები“. უცხოელი სტუმრები და მონაწილენი შინ გაიკრიფნენ, ჩვენ და ჩვენი სპორტსმენები კი ჩვენს საფიქრალთან დავრჩით

# კინოდან მოსული ბიჭი



გენადი გურალია

თქვენი გურალია კარგი ბიჭია...

ეჰ, დალოცვილებო, დალხენილებო, თქვენ რა გენაღვლებათ, თვეები და წლები კი არა, ვარჯიში არ გაგცდენიათ, მიმოდიხართ მთელი წელი თბილ ადგილებში, აქეთ ფლორიდა, იქით სხვა, თუკი რამ ხეირიანი შეჯიბრებაა, ერთს არ გამოტოვებთ, მუდამ ფორმაში ხართ. ღმერთმა სულ კარგად გამყოფოთ და, შედეგების გაუმჯობესებაზე მეტი საფიქრალი არცა გაქვთ. ბევრი თუ არა, ოჯახის სარჩენი და თავის გასატანი ფული არ გიჭირთ, ერთი სული გაქვთ, ილხინოთ და იმხიარულოთ. ერთი ახლა ამ კაცის გულში ჩაგახედათ, გაცოდინათ, რა საფიქრალ-სატკივარი აწუხებს, რა დღეშია, რა ენატრება. პირს დააღებდით, ამის ამბები რომ იცოდეთ, აბა, მაშინ გაიკვირვებდით, ან იმდენს როგორ ახერხებს, ჩვენს შორის იტრიალოს და ტოლ-სწორად გაგვეჯიბროსო. მაგრამ თქვენ რას გერჩით, რა თქვენი პრობლემა ეს არის, გკითხავდნენ ქართველი ჟურნალისტები, რას იტყვით ჩვენს გურალიაზეო და თქვენც ალალად პასუხობდით, კარგი, ძალიან კარგი ბიჭი და სპორტსმენიაო...

1983 წელს ფოთის კინოთეატრ „რუსთაველში“ წყალმოთხილამურეთა ევროპის 1978 წლის ჩემპიონატზე გადაღებული ფილმი დატრიალდა. ამ ფილმის ერთი მნახველი 11 წლის ფოთელი ბიჭი გენადი გურალიაც იყო. მერე ისიც გაიგო, ქალაქში წყალსათხილამურო სექცია იხსნება და იქ მეცადინეობის მსურველ ბავშვებს ეძებენო. მოსწონებოდა ეკრანზე ნანახი წყალზე მარჯვედ სრიალი და სექციას მიაკითხა. მალე სხვა მისი კბილა გოგო-ბიჭებიც გამოჩნდნენ და ჯგუფიც ამოქმედდა. ეს ყველაფერი ანუ ფოთელი ბავშვების წყლის თხილამურებზე „შეტყუების“ პროგრამა-კამპანია ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს იმჟამინდელი უფროსის გურამ დოლბაიასა და ყოფილი ნიჩბოსნის თამაზ ლაგვილავას ნახელავი იყო. ჰოდა, 1983 წლის 14 სექტემბერს მდინარე კაპარჭინაზე გენადი გურალია პირველად შედგა წყლის თხილამურებზე. ასე დაიწყო და მშვენივრადაც გაგრძელდა მისი სპორტული კარიერა: იყო წვრთნა, იყო ზრდა, შედეგები დღითიდღე უმჯობესდებოდა, ტურნირები გამოცდილებას სძენდა, პირველ, საყმაწვილო გამარჯვებებსაც გაუგო გემო, ხალხმაც გაიცნო, მასზე და მის თანაგუნდელებზე ალაპარაკდნენ. დრომ და ასაკმა მოატანა და წელგამართულ სპორტსმენად ჩამოყალიბდა. ძლიერნი და აღიარებულნი უკვე ანგარიშს უწევდნენ, მერე თავისი წილი დიდი გამარჯვებებიც მიითვალა. ყველასთვის აშკარა იყო, გაცილებით მეტისთვის ემზადებოდა, საამისო ძალაც ერჩოდა და ნიჭიც მოსდევდა, მაგრამ... აი, აქ გასრულდა ზღაპარივით ამბავი და დაიწყო მწარე, ჩვენეული სინამდვილე. ცხოვრება გაჩერდა, ყველაფერი ჩაკვდა, საქართველოში სპორტისთვის აღარავის ეცალა. და მას მერეა, გენადი გურალია სიზიფედ რომ იქცა.

წყალმოთხილამურე, რომელსაც თავისუფლად შეეძლო ტრამპლინიდან ხტომაში 60 მეტრი ჩვეულებრივ ნორმად ექცია, გვარიანადაც დაემოკლებინა გვარლი სლალომში და ფიგურებშიც გაცილებით მეტი ქულა დაეგროვებინა, ისევ და ისევ ძველ შედეგებს უტრიალებს: 55 მეტრი ხტომა, 12 მეტრი გვარლი, 7000-მდე ქულა ფიგურებში. იცოცხლეთ, თავისთავად ურიგო შედეგები არ არის, მაგრამ გულსატკენი ისაა, რომ სპორტსმენი, რომელსაც ევროპული, და არა მხოლოდ, ელიტის სრულუფლებიანი წევრობა ძალუძდა და ძალუძს, ამ ელიტის სიახლოვესღა ტრიალებს, ისიც ძნელად წარმოსადგენი, მარტო თვითონ რომ იცის, ისეთი გაჭირვებისა და თავის გადადების ფასად. მიზეზს, რა თქმა უნდა, უკვე მიხვდებოდით. დიახ, სწორედ ესაა: შედეგების გაუმჯობესებას სისტემატური და ხარისხიანი წვრთნა სჭირდება, ამ ყოველივეს კარგი ცხოვრება, ეს ცხოვრება კი არა და არ გველირსა. გურალიაც მაშინღა თუ ივარჯიშებდა, როცა ამის საშუალება გამოჩნდებოდა, აღიდგენდა ფორმას, მიატანდა ან სულაც გაიმეორებდა უწინდელ შედეგებს და... მერე ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ, უკვე რა ხანია.

და აი, ახლახან ამ ჩვენს სიზიფეს ერთი ქვაც მიეწია — სიყვითლე. ფოთშიც ნაავადმყოფარმა, ორი თვის უვარჯიშებელმა, ფაქტობრივად, მოუმუშებელმა იასპარეზა. მე ვინ რას მკითხავს, რა გამეგება, მაგრამ მაინც მგონია, რომ ეს უდიდესი რისკი იყო. ვკითხე კიდეც, არ გეშინია, რაიმე უბედურება არ მოიწიო-მეთქი. ეს იმანაც მათქმევინა, რომ აშკარად ვერ იყო ჩვეულ ხასიათზე, ჩვეულად მომღიმარი და ხალისიანი. ის კი არა, მომეჩვენა, ლაპარაკიც უჭირდა, თუმცა არც ერთი ჟურნალისტისთვის, ვინც ინტერვიუზე მიაკითხა, უარი არ უთქვამს. მაშინაც კი, სტარტამდე რამდენიმე წუთი რომ რჩებოდა. რა ვქნა, ფოთში ასეთი ტურნირია და როგორ არ გამოვიდე, თანაც, ხომ ვიცი, ფოთელებს ძალიან უნდათ მეც მიხილონ. იქნებ საპრიზო თანხაც ვირგუნო, რაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის უმნიშვნელო ამბავი არ არის. მოკლედ, ასეა და რა ვქნაო, მითხრა სევდიანად გენადიმ.

ასე სევდიანს გამოვემშვიდობე გენადი გურალიას, ეს სევდა მეც ამყვა და აგერ, თქვენც გაგიზიარეთ. განა იმიტომ, რომ ნაღველი შეგმატოთ. იქნებ პირიქითაც: კიდევ ერთხელ ვირწმუნოთ, რომ არა ერთი გვყავს ისეთი, რომელთაც ძალუძთ დიდი სპორტსმენობა. შეშველება და გულისხმიერება სჭირდებათ ამ ბიჭებს, რაც ჩვენს ამ ყოფაშიც კი შესაძლებელია და მაშინ ბევრი ისეთი სიხარული გველირსება, დღეს სანატრელად რომ გაგვხდომია.



ცალკეულ სახეობებში გურალიამ ფიგურებში უფრო იმარჯვა



ბოლო წლებში გენადი გურალიას სპორტული კარიერა პრობლემების სლალომს ჰგავს

# ქართული სიტუაცია:
## ნიჭი არის, შენ მიხედვა თქვი

ხალხი იყო, ფრინავდა, ლამის 60-მეტრზე ხტებოდნენ. აბა, ერთი შეხედვით, რა ამათთან მოსატანია დათო დოლიძის ჯერ 34, მერე 36 მეტრი, მაგრამ ფოთის ტურნირის დიახაც რომ სენსაცია სწორედ დათოს ნახტომები იყო. ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება: რუსთაველი ბიჭი შარშან ჩაიყვანეს ფოთში, იქ 4-5 თვე დატოვეს, ამ გაჭირვებაში რა პირობები იქაურ ბავშვებს აქვთ, ეს ყოფილიყო ხეირში, თითებზე დაითვლება, რაც ტრამპლინიდან გადმომხტარა, ეს კი ადგა და, ერთი ნახტომი, მეორე, მესამე და... აგერ ერთ ჯერზე რომ 30 მეტრს გადააფრინდა, მეორეზე 40-ს მიუახლოვდა. ბევრის მნახველი სპეციალისტებიც კი გაკვირვებულები იყვნენ, ძალიან იშვიათი ამბავია, დროზე მიხედეთ ამ ბიჭსო.

მოკლედ, ნაღდი ქართული სიტუაციაა: ნიჭი არის, შენ მიხედვა თქვი.

ამ ამბავში კიდევ ერთი რამაა სასიამოვნო: კაცს რომ ამაგი დაუფასდება, მისი წილი სამართალი მთლად თუ არა, ცოტას მაინც დანაყრდება. ზაურ ლაგაზიძეზე მოგახსენებთ, დათოს მწვრთნელზე. ამ კაცმა, მაშინ სრულიად ახალგაზრდამ, 1987 წელს ბავშვები შეკრიბა და რუსთავის პარკის ტბაზე წყლის თხილამურებზე შეაყენა. საქმე ასე თუ ისე დაიძრა, ეს თითისტოლა ბავშვები წამოიჩიტნენ, საქართველოს ჩემპიონატების პრიზიორებიც გახდნენ, მაგრამ მალე კაშხალი დაინგრა, ტბა ლამის ამოშრა, ამას სხვა გასაჭირიც არა ერთი მოჰყვა და 91-ში ჯგუფი დაიხურა. ჯგუფში ახალმიყვანილმა 7 წლის დათო დოლიძემ წყალთან ხეირიანად გაჩვევაც ვერ მოასწრო, არათუ საგანგებო, სპეციალური წვრთნა. გავიდა რამდენიმე წელი და ზაურ ლაგაზიძე ისევ დაუბრუნდა წყალთხილამურებს, მოიძია ძველი შეგირდი, წაიყვანა ფოთში და... რაც მერე მოხდა, უკვე გითხარით.

ისევ გაკვირვებულ სპეციალისტებს დავიმოწმებ: თუ ხელშეწყობა ექნა, ამ 16 წლის ბიჭისგან უმაღლესი დონის ტრამპლინისტი დადგება. რახან ამდენი



დავით დოლიძე

წელი გაუცდა, ფიგურებსა და სლალომზე თავის მოკვლა აღარც ღირს, აი, ტრამპლინზე კი ჩინებული პერსპექტივა აქვს. რაც მან მცირეოდ ხანში შეძლო, მისი თანატოლები ამას ერთ ან ორ წელს უნდებიან. ამაში ასაკის კვალობაზე მოჭარბებული ძალაც უწყობს ხელს — 150-კილოგრამიანი შტანგით აკეთებს ჩაჯდომებს.

ერთი სიტყვით, რუსთავში პოტენციური ვარსკვლავი იზრდება, რაღა დარჩა თითქოს, მოკიდე ხელი და ავარჯიშე, მაგრამ აკი ვთქვით: ჩვენში ახლა ეგრე სად არის, პრობლემა იმდენია, გულით დაწყებულ საქმეზეც ხელს აგაღებინებს. არადა, ქალაქმა რომ მოინდომოს, ამ ერთი ბიჭის გამოზრდა არ უნდა გაჭირდეს. თუ გარჯა იქნა, თუ დათოსა და მის მწვრთნელს მხარში ამოუდგნენ, შედეგი აუცილებლად იქნება, თანაც როგორი ეფექტური — საერთაშორისო დონის რუსთაველი წყალმოთხილამურე.

**თამაზ მიგრიაული**
**ბადრი ძეთილაძე (ფოტო)**

# ფედერაცია ერთი ოჯახია

— ნეტა რა რჯის ამ კაცს, თავი მაინც არ ეცოდება? — ფოთში მყოფმა არაერთისგან გავიგე ეს კითხვა. ამას მაშინ ამბობდნენ, როცა საქართველოს წყალთხილამურობის ფედერაციის პრეზიდენტს რომან მელიას თან ათას კითხვაზე უწევდა პასუხის გაცემა, თან უამრავი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. მოკლედ, არავინ არაფერს აცლიდა, ყველა, საჭირო იყო თუ არა, პირველ რიგში მასთან გარბოდა ან დახმარების სათხოვნელად ანაც ვითარებაში გასარკვევად. იგიც, აშკარად გადაღლილი და ანერვიულებული, მაინც ინარჩუნებდა სიმშვიდეს და ყველას პასუხობდა, არკვევდა, აბინავებდა, აგზავნიდა იქ, სადაც ჯობდა და ა.შ. გასაკვირი ის იყო, რომ იუმორის გრძნობასაც ინარჩუნებდა: ერთ ქალბატონს, მელია მინდოდაო, ზუსტად ასე რომ განაცხადა, რომელი, ჩემო ბატონო, ორფეხა თუ ოთხფეხაო, ასე გაეპასუხა. მოკლედ, კარგი გაძლება მისცა ამ კაცს, რომელიც არა და არ ეშვება ისეთ ძნელ საქმეს, როგორიც დღევანდელ საქართველოში დიდი საერთაშორისო ტურნირების მოწყობაა.



რომან მელია: მიმართეთ გენერალურ მდივანს

საქმემოძალებულ მამას რომ შვილი ამოუდგეს მხარში, ეს რა გასაკვირი ამბავია, მაგრამ ამ შემთხვევაში ნამდვილად იშვიათ ფაქტთან გვაქვს საქმე: რომან მელიას ქალიშვილი თამარი მამაშვილობის ხათრით კი არა, ფედერაციის გენერალური მდივნის სტატუსით უდგას გვერდში. სწორედ თამარმა გვითხრა, საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები მეუბნებიან, მამათქვენი წყალთხილამურების გიჟია და ჩვენც სხვა რა გვინდაო. ერთი სიტყვით, წყალმოთხილამურეთა ფოთის საერთაშორისო ტურნირის მოწყობის მთელმა სიმძიმემ მელიების ოჯახის მხრებზე გადაიარა და გვარიანადაც დაღალა, ესენი კი არც იხტიბარს იტეხენ და არც იმის იმედს კარგავენ, რომ ამგვარი ტურნირები ფოთში ტრადიციული გახდება. ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

ჩემპიონატში მონაწილე 16 გუნდი 4 ჯგუფშია განთესილი, ჯგუფური თამაშები წრიული სისტემით ჩატარდება და შემდგომ ეტაპზე სამ-სამი საუკეთესო გუნდი გავა. A და B ჯგუფების პირველი სამეულები E ჯგუფში მოიყრის თავს, ხოლო C და D ჯგუფების პირველი სამეულები F ჯგუფში.

E და F ჯგუფების 12 გუნდიდან I-IV ადგილებზე გასულნი ფინალურ ეტაპზე გადიან და ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ ბრძოლას პირველობისთვის.

## ჯგუფური ტურნირი — I წრე

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | წ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სენეგალი | | | | | | | | |
| 2 | საბერძნეთი | | | | | | | | |
| 3 | კანადა | | | | | | | | |
| 4 | იტალია | | | | | | | | |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | წ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იაპონია | | | | | | | | |
| 2 | იუგოსლავია | | | | | | | | |
| 3 | პუერტო-რიკო | | | | | | | | |
| 4 | რუსეთი | | | | | | | | |

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | წ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კორეა | | | | | | | | |
| 2 | აშშ | | | | | | | | |
| 3 | ბრაზილია | | | | | | | | |
| 4 | ლიტვა | | | | | | | | |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | წ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნიგერია | | | | | | | | |
| 2 | ავსტრალია | | | | | | | | |
| 3 | არგენტინა | | | | | | | | |
| 4 | ესპანეთი | | | | | | | | |

## ჯგუფური ტურნირი — II წრე

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | A1 | | | | | | | | | | |
| 2 | A2 | | | | | | | | | | |
| 3 | A3 | | | | | | | | | | |
| 4 | B1 | | | | | | | | | | |
| 5 | B2 | | | | | | | | | | |
| 6 | B3 | | | | | | | | | | |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | C1 | | | | | | | | | | |
| 2 | C2 | | | | | | | | | | |
| 3 | C3 | | | | | | | | | | |
| 4 | D1 | | | | | | | | | | |
| 5 | D2 | | | | | | | | | | |
| 6 | D3 | | | | | | | | | | |

## მეოთხედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| E1 | | | 1 |
| F4 | | | |
| E3 | | | 2 |
| F2 | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| E2 | | | 3 |
| F3 | | | |
| E4 | | | 4 |
| F1 | | | |

## ნახევარფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |

| | | |
|---|---|---|
| 3 | | |
| 4 | | |

## ფინალი

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |

### წინა 12 მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულნი და პრიზიორები

| | | | ჩემპიონი | II ადგილი | III ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | 1950 წ. | ბუენოს აირესი (არგენტინა) | არგენტინა | აშშ | ჩილე |
| 2. | 1954 წ. | რიო დე ჟანეირო (ბრაზილია) | აშშ | ბრაზილია | ფილიპინები |
| 3. | 1959 წ. | სანტიაგო (ჩილე) | ბრაზილია | აშშ | ფილიპინები |
| 4. | 1963 წ. | რიო დე ჟანეირო (ბრაზილია) | ბრაზილია | იუგოსლავია | სსრკ |
| 5. | 1967 წ. | მონტევიდეო (ურუგვაი) | სსრკ | იუგოსლავია | ბრაზილია |
| 6. | 1970 წ. | ლუბლიანა (იუგოსლავია) | იუგოსლავია | ბრაზილია | სსრკ |
| 7. | 1974 წ. | სან ხუანი (პუერტო-რიკო) | სსრკ | იუგოსლავია | აშშ |
| 8. | 1978 წ. | მანილა (ფილიპინები) | იუგოსლავია | სსრკ | ბრაზილია |
| 9. | 1982 წ. | ბოგოტა (კოლუმბია) | სსრკ | აშშ | იუგოსლავია |
| 10. | 1986 წ. | ბარსელონა (ესპანეთი) | აშშ | სსრკ | იუგოსლავია |
| 11. | 1990 წ. | ბუენოს აირესი (არგენტინა) | იუგოსლავია | სსრკ | აშშ |
| 12. | 1994 წ. | ტორონტო (კანადა) | აშშ | რუსეთი | ხორვატია |

### ჯგუფური ტურნირი

| ოლიმპიური დარბაზი | მშვიდობისა და მეგობრობის სტადიონი |
|---|---|

**პირველი წრე**

— 29 ივლისი —

| C ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| 17.15 კორეა — ლიტვა | 17.15 იაპონია — რუსეთი |
| 19.30 აშშ — ბრაზილია | 19.30 იუგოსლავია — პუერტო-რიკო |
| D ჯგუფი | A ჯგუფი |
| 21.45 ნიგერია — ესპანეთი | 21.15 სენეგალი — იტალია |
| 24.00 ავსტრალია — არგენტინა | 24.00 საბერძნეთი — კანადა |

— 30 ივლისი —

| B ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| 17.15 პუერტო-რიკო — იაპონია | 17.15 ბრაზილია — კორეა |
| 19.30 რუსეთი — იუგოსლავია | 19.39 ლიტვა — აშშ |
| A ჯგუფი | D ჯგუფი |
| 21.45 კანადა — სენეგალი | 21.45 არგენტინა — ნიგერია |
| 24.00 საბერძნეთი — იტალია | 24.00 ესპანეთი — ავსტრალია |

— 31 ივლისი —

| C ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| 17.15 ბრაზილია — ლიტვა | 17.15 იაპონია — იუგოსლავია |
| 19.30 კორეა — აშშ | 19.30 პუერტო-რიკო — რუსეთი |
| D ჯგუფი | A ჯგუფი |
| 21.45 ნიგერია — ავსტრალია | 21.45 კანადა — იტალია |
| 24.00 არგენტინა — ესპანეთი | 24.00 საბერძნეთი — სენეგალი |

**მეორე წრე**

— 2 აგვისტო —

მე-13-15 ადგილებისთვის

| | |
|---|---|
| 17.15 A4-B4 (1) | 17.15 C4-D4 (2) |
| E ჯგუფი | F ჯგუფი |
| 19.30 B1-A3 | 19.30 D3-C1 |
| 21.45 B2-A2 | 21.45 D2-C2 |
| 24.00 B3-A1 | 24.00 D1-C3 |

— 3 აგვისტო —

| მე-13 ადგილისთვის | მე-15 ადგილისთვის |
|---|---|
| 17.15 1.გამარჯვებული — 2.გამარჯვებული | 17.15 1.დამარცხებული — 2.დამარცხებული |
| E ჯგუფი | F ჯგუფი |
| 19.30 C1-D2 | 19.30 A3-B4 |
| 21.45 C3-D3 | 21.45 A2-B1 |
| 24.00 C2-D1 | 24.00 A1-B2 |

— 4 აგვისტო —

| | |
|---|---|
| 19.30 B2-A3 | 19.30 D1-C1 |
| 21.45 B3-A2 | 21.45 D2-C3 |
| 24.00 B1-A1 | 24.00 D3-C2 |

### ფინალური ეტაპი

**ოლიმპიური დარბაზი**

— 7 აგვისტო —

მე-9-11 ადგილებისთვის

| | |
|---|---|
| 13.00 E5-E6 (3) | 15.00 E6-F5 (4) |

მეოთხედფინალები

| | |
|---|---|
| 17.15 E1-F4 (5) | 21.45 E2-F3 (7) |
| 19.30 E3-F2 (6) | 24.00 E4-F1 (8) |

— 8 აგვისტო —

| მე-11 ადგილისთვის | მე-9 ადგილისთვის |
|---|---|
| 12.00 3.წაგებული — 4.წაგებული | 14.00 3.მოგებული — 4.მოგებული |

მე-5-7 ადგილებისთვის

| | |
|---|---|
| 16.15 5.წაგებული — 6.წაგებული (A) | 18.30 7.წაგებული — 8.წაგებული (B) |

ნახევარფინალები

| | |
|---|---|
| 20.45 5.მოგებული — 6.მოგებული (C) | 23.00 7.მოგებული — 8.მოგებული (D) |

— 9 აგვისტო —

| მე-7 ადგილისთვის | მე-5 ადგილისთვის |
|---|---|
| 15.15 A წაგებული — B მოგებული | 17.30 A მოგებული — B მოგებული |

მე-3 ადგილისთვის

19.45 C წაგებული — D წაგებული

ფინალი

22.00 C მოგებული — D მოგებული

### ფავორიტთა შემადგენლებები (ასაკი, სიმაღლე, კლუბი)

**აშშ**

| | | |
|---|---|---|
| უენდელ ალექსისი<br>ალბა ბერლინი | 33 | 2,06 |
| აშრაფ ამაია<br>აიდაჰო სტამპედე | 26 | 2,03 |
| მეტინ კლივსი<br>მიჩიგან სთეითი | 22 | 1,88 |
| ბილ ედვარდსი<br>ვირტუს რომი | 26 | 2,03 |
| კიუეინ ჰარისი<br>გრანდ რეპიდს ჰუპსი | 23 | 1,88 |
| მაიკლ ჰოკინსი<br>ოლიმპიაკოსი | 25 | 1,83 |
| ჯერალდ კინგი<br>სიენა | 25 | 2,06 |
| ჯიმი კინგი<br>კვოდ სიტი სანდერი | 24 | 1,96 |
| ბრედ მილერი<br>პერდიუ | 22 | 2,11 |
| ჯიმი ოლივერი<br>სიუდად დე უელვა | 29 | 1,98 |
| ჯეისონ სასერი<br>სიუ ფოლსი | 24 | 2,01 |
| დეივიდ ვუდი<br>როკფორდი | 33 | 2,06 |

**ლიტვა**

| | | |
|---|---|---|
| ეურელიუს ჟუკაუსკასი<br>კაუნასის ჟალგირისი | 24 | 2,18 |
| გინტარას ეინიკისი<br>სარატოვის ავტოდორი | 29 | 2,08 |
| ვირგინიუს პრასკევიჩუსი<br>კაუნასის ატლეტასი | 24 | 2,06 |
| ტომას მასიულისი<br>კაუნასის ჟალგირისი | 23 | 2,05 |
| არტურას კარნიშოვასი<br>ოლიმპიაკოსი | 27 | 2,03 |
| საულიუს შტომბერგასი<br>კაუნასის ჟალგირისი | 24 | 2,04 |
| მინდაუგას ჟუკაუსკასი<br>კაუნასის ჟალგირისი | 22 | 2,01 |
| მინდაუგას ტიმინსკასი<br>ვოლფსი | 24 | 2,00 |
| დაინიუს ადომაიტისი<br>კაუნასის ჟალგირისი | 24 | 2,02 |
| დარიუს ლუკმინასი<br>სარატოვის ავტოდორი | 30 | 1,94 |
| დარიუს მაშკოლიუნასი<br>კაუნასის ჟალგირისი | 27 | 1,95 |
| ანდრიუს გიედრაიტისი<br>საკალაი | 25 | 1,96 |

**საბერძნეთი**

| | | |
|---|---|---|
| პანაიოტის ფასულასი<br>ოლიმპიაკოსი | 35 | 2,13 |
| გეორგიოს სიგალასი<br>სალონიკის არისი | 27 | 2,01 |
| აგელოს კორონიოსი<br>აეკი | 29 | 1,86 |
| ნიკოს ეკონომუ<br>პანათინაიკოსი | 25 | 2,06 |
| ფრაგისკოს ალვერტისი<br>პანათინაიკოსი | 24 | 2,07 |
| ეფტიმიოს რენცასი<br>ბარსელონა | 22 | 2,12 |
| ნიკოს ბუდურისი<br>პაოკი | 26 | 1,93 |
| დმიტრის პაპანიკოლაუ<br>ოლიმპიაკოსი | 21 | 2,00 |
| გეორგიოს ლიმნატისი<br>პანიონიოსი | 27 | 1,90 |
| გეორგიოს კალაიცისი<br>პანათინაიკოსი | 21 | 1,94 |
| გეორგიოს ბალოგანისი<br>პაოკი | 27 | 1,97 |
| პანიოტის ლადელისი<br>არისი | 23 | 1,90 |

**რუსეთი**

| | | |
|---|---|---|
| მიხაილ მიხაილოვი<br>მადრიდის რეალი | 27 | 2,06 |
| ვასილი კარასიოვი<br>ალბა ბერლინი | 27 | 1,93 |
| ევგენი კისურინი<br>ზაგრების ციბონა | 29 | 2,07 |
| იგორ კუდელინი<br>ცსკა | 25 | 1,97 |
| იგორ კურაშოვი<br>ცსკა | 26 | 2,10 |
| ნიკიტა მორგუნოვი<br>კაუნასის ატლეტასი | 23 | 2,08 |
| ვიტალი ნოსოვი<br>ლუბლიანის ოლიმპია | 30 | 2,12 |
| სერგეი პანოვი<br>ცსკა | 28 | 2,02 |
| ზახარ პაშუტინი<br>სარატოვის ავტოდორი | 24 | 1,97 |
| ვალერი ტიხონენკო<br>ცსკა | 33 | 2,06 |
| დმიტრი დომანი<br>ცსკა | 23 | 1,98 |
| სერგეი ბაბკოვი<br>მალაგის უნიკახა | 31 | 1,90 |

**ავსტრალია**

| | | |
|---|---|---|
| ენტონი რონალდსონი<br>მელბურნ მეჯიკი | 26 | 2,03 |
| ბრეტ მაჰერი<br>ადელაიდა | 25 | 1,88 |
| სკოტ ფიშერი<br>პერტ უაილდქეთსი | 35 | 2,01 |
| ფრანკ დრმიჩი<br>მელბურნ მეჯიკი | 20 | 2,01 |
| სემ მაკინონი<br>მელბურნ მეჯიკი | 21 | 1,97 |
| საიმონ დუაიტი<br>კანბერა კენონსი | 22 | 2,04 |
| ენდრიუ გეიზი<br>მელბურნ ტაიგერსი | 33 | 2,01 |
| შეინ ჰილი<br>სიდნეი კინგსი | 27 | 1,84 |
| ბენ მელმეტი<br>ნიუკასლ ფალკონსი | 23 | 2,10 |
| კრის ენტსი<br>დალას მავერიქსი | 23 | 2,13 |
| ენდრიუ ვლახოვი<br>პერტ უაილდქეთსი | 29 | 2,02 |
| პოლ როჯერსი<br>მადრიდის რეალი | 24 | 2,08 |

**ველორბოლა**

# ვირის აბანო ალპებში

მე-15 ეტაპი. გრენობლიდან ლე დეზალპამდე. 189 კმ

რბოლის ყველაზე რთული ეტაპი იმავდროულად გადამწყვეტიც შეიძლება აღმოჩნდეს წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულის გამოსავლენად. იან ულრიხი, მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული რბოლის შარშანდელი ჩემპიონი, რომელიც აქამდე რამდენიმე დღის განმავლობაში დამაჯერებლად ინარჩუნებდა ლიდერობას, ალპების უმძიმეს ტრასაზე ყველასათვის მოულოდნელად გატყდა. ყვითელი მაისური კი, პირველად კარიერაში, ხოტორა მარკო პანტანიმ მოიზომა.

ეტაპი ოთხ ალმართს მოიცავდა, რომელთაგან ორი თავისი სიმაღლისა და სირთულის გამო კლასიფიკაციასაც კი არ ექვემდებარებოდა. მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ წინა დღის 30-გრადუსიანი სიცხის შემდეგ ალპებში მრბოლელებს ნისლი, თავსხმა წვიმა და საშინელი სიცივე დაუხვდათ. პირველ ორ ალმართზე პელოტონს ფრანგი კრისტოფ რინეროს ძალისხმევით რამდენიმე მრბოლი გაექცა, თუმცა ლიდერები ამ დროს მხოლოდ ერთმანეთს ზვერავდნენ.

პანტანიმ გადამწყვეტი შეტევა წლევანდელი ტურის უმაღლეს მთაზე — გალიბიეზე მიიტანა (2645 მეტრი), ფავორიტები სწრაფად მოიტოვა უკან და რინეროს ჯგუფის დასაწევად გაქანდა. ულრიხსა და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფ ბობი ჯულიჩს მისი დევნა არც უცდიათ, რადგან, თუ ამ უკანასკნელს ვენდობით, დევნას აზრი არა აქვს, მთები „მეკობრის“ სამეფოა.

გალიბიეს მწვერვალზე პანტანი მდევრებს უკვე სამი წუთით უსწრებდა, ამიტომ იმის დროც კი ჰქონდა, რომ გაჩერებულიყო და საწვიმარი ჟილეტი აუჩქარებლად მოერგო. სამაგიეროდ, ჯულიჩს ხიფათი შეემთხვა — ზემოხსენებული ჟილეტის ჩაცმაში ისე გაერთო, ერთ-ერთ მოსახვევში თავი ვერ შეიმაგრა და ტრასიდან გადავარდა. „ვიფიქრე, ყველაფერი დასრულდა, ამ სულელურმა დაცემამ ჩემს იმედებს ბოლო მოუღო-მეთქი, მაგრამ, საბედნიეროდ, ტრასას მალე დავუბრუნდი და წინმავლებსაც იოლად დავეწიე. დაღმართი ძალიან ციცაბო იყო და ისინი მუხრუჭებს ხშირად ხმარობდნენ.“

დაღმართზე ულრიხ-ჯულიჩის ჯგუფმა პანტანისთან ჩამორჩენა ოდნავ კი შეამცირა, მაგრამ ამჯერად უკვე გერმანელს აღარ გაუმართლა: მას ველოსიპედი გაუფუჭდა და გუნდის მანქანისა და თანაგუნდელების ცდა მოუხდა, გუნებაწამხდარი ვეღარც ჯულიჩს დაეწია, პანტანისთან კი ლე დეზ ალპის ალმართზე კიდევ სამი წუთი წააგო.

ამასობაში კი მეკობრე უკვე რბოლის ლიდერი გახდა — უკანასკნელ ალმართზე თანამემამულე როდოლფო მასიც ჩამოიტოვა და წლევანდელი ტურზე მეორე ეტაპიც მოიგო. „როდესაც ტურზე ჩამოვედი, არ ვიყავი დარწმუნებული, რომ „ჯიროს“ შემდეგ ძალები აღდგენილი მქონდა (ჯირო 7 ივნისს დასრულდა, ტური კი 11 ივლისს დაიწყო), მაგრამ გავრისკე და არც შევმცდარვარ. ასევე რისკიანი იყო დღეს ასეთ ცუდ ამინდში შეტევა, თუმცა აქაც გამიმართლა“ — განაცხადა პანტანიმ პრესკონფერენციაზე.

ჯულიჩი, რომელიც მეხუთე ადგილზე გავიდა, ეტაპის დასრულების შემდეგ იტალიელის ქება-დიდებაში იყო: „ვიცოდი, რომ პანტანი სახიფათო იყო მთებში, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ რაღაც მსგავსის გაკეთება შეეძლო. ეს სრულ სიგიჟეს ჰგავდა, მაგრამ სულელები საბოლოო ჯამში ჩვენ გამოვდექით.“

**მე-15 ეტაპი:** 1. პანტანი — 5:43,45; 2. როდოლფო მასი +1,54; 3. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +1,59; 4. რინერო +3,22; 5. ჯულიჩი +5,43; 6. მიქაელ ბუგერდი +5,48... 25. ულრიხი +8,57

**საერთო ჩათვლა:** 1. პანტანი — 71:58,37; 2. ჯულიჩი +3,53; 3. ესკარტინი +4,14; 4. ულრიხი +5,56; 5. რინერო +6,12; 6. ბუგერდი +6,16; 7. მასი +7,53

**ლაშა ლომჯარია**

**ჰოკეი**

# ბაზრობაზე ძალიან ცხელა

ზაფხულში ნჰლ ისვენებს. მხოლოდ ჰოკეისტთა აგენტები არ სხედან გულხელდაკრეფილი. მათი ციებ-ცხელება 1 ივლისიდან იწყება — ლიგაში ხომ თავისუფალი აგენტების ბაზარი იხსნება, სადაც თითქმის სამასი მოთამაშე გაარკვევს თავის მომავალს. თვით ამ თავისუფალ აგენტებსაც განასხვავებენ: ეგრეთ წოდებულ შეზღუდულ ჰოკეისტებზე მათი კლუბები გარკვეულ უფლებებს ინარჩუნებენ, ხოლო შეუზღუდავები სრულიად თავისუფალნი არიან და შეუძლიათ, შეთავაზებული კონტრაქტებიდან ნებისმიერი აირჩიონ. ახლავე შეიძლება ითქვას, რომ 1998 წლის ზაფხული მეტად ცხელი იქნება, რასაც უკვე მომხდარი გაცვლებიც ადასტურებს.

## „ოქროს ბიჭი“ ბლუზს აღარ შეასრულებს

90-იანი წლების ყველაზე მრისხანე სნაიპერს, „ოქროს ბიჭად“ წოდებულ ბრეტ ჰალს წლეულს მეტად გაურთულდა ურთიერთობა სენტ ლუისის მესვეურებთან. ჰალმა საკმაოდ სუსტად ჩაატარა ჩემპიონატი და 27 შაიბით პირადი ანტირეკორდიც დაამყარა. ეს კონფლიქტი კიდევ უფრო გაამწვავა იმან, რომ 1 ივლისამდე „ბლუზმენებმა“ ოთხ ძვირადღირებულ თავისუფალ აგენტს შორის უპირატესობა მცველ ელ მაკინისს მიანიჭეს და მასთან მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმეს, მაშინ, როცა ჰალთან მოლაპარაკება ჯერ არც დაეწყოთ. საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 34 წლის სუპერსნაიპერი (კარიერის 801 მატჩში 987 (554+433) ქულა), რომელმაც 3-ჯერ 70-ზე მეტი გოლი გაიტანა, ხოლო 1991 წელს ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედ იქცა, „ბლუზმენებს“ დაემშვიდობა და ლიგის გრანდ დალასთან 17 მილიონ დოლარად 3-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. როგორც ვარაუდობენ, იგი გუნდის წამყვან პლეიმეიკერ მაიკ მოდანოს შეუამხანაგდება. თავიდან ჰალს ჩიკაგოში გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, იმასაც ამბობდნენ, ლეგენდარული ბობი ჰალი, ბრეტის მამა, თავის საკუთრებად ქცეულ მუდმივ ცხრა ნომერს ვაჟიშვილს დაუთმობსო, მაგრამ პირველად 29 წლის განმავლობაში პლეი ოფის მიღმა დარჩენილ „ქორებს“ ჰალმა ძლიერი დალასი ამჯობინა. რაც შეეხება სენტ ლუისის კიდევ ორ ძვირადღირებულ თავისუფალ აგენტს, მათი ბედი არაერთგვაროვნად გადაწყდა: 35 წლის ფორვარდი ჯეფ კურტნოლი კლუბმა კიდევ სამი წლით დაიტოვა, ხოლო შემტევ მცველ სტივ დიუშენისთვის (კარიერაში 212 გოლი და 436 პასი) ადგილი არ მოიძებნა და იგიც თავის პირველ გუნდს, ლოს ანჯელესს დაუბრუნდა (3-წლიანი კონტრაქტი). საერთოდ კი, სენტ ლუისი გასულ დღეებში ყველაზე მეტად აქტიურობდა და კიდევ სამ ჰოკეისტთან — პელერინთან, ისტვუდთან და პერსონთან გააფორმა ახალი კონტრაქტი.

## ორი მეკარე რა საჭიროა

ედმონტონის მეკარის, კერტის ჯოზეფის ტორონტოში გადასვლა, ალბათ,



ედმონტონელმა კერტის ჯოზეფმა ტორონტოს მაისური მოირგო

ყველაზე მოულოდნელ გაცვლად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, ერთი მხრივ, ბოლო წლებში კრიზისში მყოფ გუნდს ძალიან წაადგება ესოდენ მაღალი კლასის მეკარე, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს ამპლუა „ნეკერჩხლის ფოთლებს“ პრობლემას არ უქმნიდა — ძირითადი გოლკიპერი ფელიქს პოტვინი ხომ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ახლა, ცხადია, ჯოზეფი და პოტვინი ერთმანეთს ვერ იგუებენ, რადგან ერთიც და მეორეც სეზონში 70 მატჩის ჩატარებასაა ჩვეული. გარდა ამისა, ჯოზეფის სოლიდური კონტრაქტი (4 წელიწადში 14 მილიონი, რამაც იგი ჰაშეკის შემდეგ ლიგაში მეორე მეკარედ აქცია) მძიმე ტვირთად დააწვა ტორონტოს ბიუჯეტს, მით უმეტეს, რომ კლუბმა კიდევ ერთ თავისუფალ აგენტს, ნიუჯერსელ სტივ თომასს (34 წლის ვეტერანი, რომელმაც კარიერაში 8-ჯერ შეძლო 20-ზე მეტი გოლის გატანა, თავის პირველ კლუბში დაბრუნდა), გვარიანი თანხა დაახარჯა. ასე რომ, კანადელებს ერთადერთი გამოსავალიღა აქვთ — პოტვინის გაყიდვა. ეს არცთუ ძნელია, ფელიქსის შეძენა ხომ არაერთ გუნდს სურს.

## დეტროიტი კრუპი იშოვა, კრუპმა დიდძალი ფული

33 წლის მცველი უვე კრუპი იჭნებ ბრეტ ჰალზე ნაკლებად ცნობილია, მაგრამ ბრგე და საიმედო კოლორადოელის გადაბირებას ლიგის თითქმის ყველა კლუბი ლამობდა. ყველას თასის მფლობელმა დეტროიტმა დაასწრო, რომელმაც გერმანელ ჰოკეისტს ძალიან ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზა. მართალია, მისი დეტალები უცნობია, მაგრამ თუ ჭორებს დავუჯერებთ, კრუპი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მცველი გახდა. ფაქტი კი ის არის, რომ დეტროიტის დაცვა უფრო გაძლიერდა. შეგახსენებთ, რომ კრუპი პირველი გერმანელია, რომელმაც სტენლის თასი მოიგო, თანაც 1996 წლის ფინალურ სერიაში, ფლორიდასთან ბოლო მატჩში სწორედ მან გაიტანა „ოქროს გოლი“. კრუპის გარდა დეტროიტმა ვეტერანი დუგ ბრაუნი დაიბრუნა ნეშვილიდან.

## დაბრუნება ახალ კლუბში

როგორც ჩანს, კაროლინა, რომელიც ზედიზედ ექვსი სეზონია პლეი ოფში ვერ ხვდება, სერიოზულად ემზადება ახალი სეზონისთვის. კლუბმა საამისოდ ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა: სულ რაღაც 24 საათში ორი ცნობილი ჰოკეისტი — რონ ფრენსისი და ელ აიეფრეიტი შეისყიდა. ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო პლეიმეიკერის შეძენით „ჰერიკეინს“ ორი ძლიერი სამეულის შექმნის საშუალება მიეცა (ფრენსისის გარდა გუნდს კეიტ პრიმო ჰყავს), ხოლო აიეფრეიტის უძლიერესი დარტყმები კაროლინელთა მეტოქეებს უთუოდ საფიქრალს გაუჩენს (თუმცა, ორი წლის წინანდელი ტრავმების შედეგად მისმა ნაყოფიერებამ იკლო). საინტერესოა, რომ ფრენსისი შვიდი წლის განშორების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ კლუბს, რომელიც მაშინ ჰართფორდის სახელით გამოდიოდა. 35 წლის ფორვარდი, რომელსაც ჰართფორდის (კაროლინას) ყველა ინდივიდუალური რეკორდი ეკუთვნის (814 თამაში, 264 გოლი და 557 პასი) და 1437 ქულით ლიგის ისტორიაში მე-9 ბომბარდირია, ოთხი წლის განმავლობაში 20 მილიონ დოლარს მიიღებს. გარდა ამისა, კაროლინამ ცნობილ თავდამსხმელ გერი რობერტსთანაც (646 მატჩში 554 (277+277) ქულა) მოაწერა ხელი ახალ ხელშეკრულებას და პერსპექტიული შვედი, ტომას ვესტლუნდი შეიძინა. პიტსბურგმა კი, რომელსაც ფრენსისის შესანარჩუნებლად ფული არ ეყო, მისი და იაგრის მუდმივ პარტნიორ სტიუ ბარნსთან გაახანგრძლივა თანამშრომლობა და რუსეთში მოთამაშე 21 წლის ფორვარდი ანდრეი კოლკუნოვი შეიმატა.

## ტამპამ კარგად ივაჭრა

1997-98 წლების სეზონში ბოლო, 26-ე ადგილზე გასულ ტამპას მობეზრდა მაჩანჩალობა და „ელვების“ ხელმძღვანელებმაც მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველაფერი იღონეს. გუნდის აგენტები კარგად გაისარჯნენ და ტამპა, ფაქტობრივად, ყველა რგოლში სოლიდური შენაძენებით გააძლიერეს. წამყვანი მეკარის — დარენ პუპას ქრონიკული ტრავმების გამო შესუსტებულ ამ პოზიციას ცნობილი გოლკიპერი ბილ რენფორდი (1990 წლის თასის უძვირფასესი მოთამაშე) შეემატა, რომელიც ვაშინგტონში ოლაფ კოლციგმა უსაქმოდ დატოვა. მცველებს კი ჩიკაგოელი მიხალ სიკორა და ევროპაში მოთამაშე ანდრეი სკოპინცევი დაეხმარებიან.

„ელვებმა“, როგორც იქნა, კარგი გამთამაშებელიც შეიძინეს — ეს ცნობილი თავდამსხმელი კრეიგ ჯენია, ხოლო ორი-სამი წლის წინ ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო ძალისმიერ ფორვადად მიჩნეული ტორონტოელი უენდელ კლარკის სახით წლევანდელი დრაფტის პირველ ნომერს ვინსენ ლეკავალიეს ღირსეული პარტნიორი გამოუჩნდა.

## ვაშინგტონი: კმაყოფილება თუ თვითკმაყოფილება?

თასის ფინალისტის ვაშინგტონის მესვეურები იმდენად კმაყოფილი არიან წლევანდელი სეზონით, რომ ძირფესვიანი ცვლილებებისგან თავი შეიკავეს და ამ წარმატების სულისჩამდგმელებთან — ჯო ჟიუნოსთან (17 (7+10) ქულით კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა პლეი ოფში), ბრაიან ბელოუზთან და დეილ ჰანტერთან განშორება არ მოისურვეს.

ერთადერთი დანაკარგი სახელოვანი მცველი ფილ ჰაუსლია (1021 (291+730) ქულა, ლიგის ისტორიაში მე-6 ბომბარდირი მცველი), რომელიც დედაქალაქური კლუბის მესვეურებმა კალგარიში გაუშვეს, თუმცა იგი ბოლო ხანს ისედაც ვერ ერგებოდა გუნდის ტაქტიკურ სქემას. მის ნაცვლად „კეპიტალსმა“ კრუპის მისვლისთანავე უსაქმოდ დარჩენილი დიმიტრი მირონოვი შეიძინა, რომელიც მანამდე ანაჰაიმში ვაშინგტონის ამჟამინდელ მწვრთნელ რონ უილსონთან მუშაობდა.

## ჩიკაგოს ბებრის იმედი აქვს

გადაწყდა კიდევ ერთი ცნობილი ვეტერანი პლეიმეიკერის ბედი. ერთობ უხეირო სეზონის შემდეგ ჩიკაგოელთა ხელმძღვანელებმა უმთავრესად ოსტატი ცენტრფორვარდის პრობლემა დაასახელეს, რადგან რუსი ჟამნოვი ათლეტურ და მკაცრი თამაშის მოყვარულ „ქორთა“ შორის იჩრდილებოდა. კლუბმა იგი 36 წლის დუგ გილმორით შეცვალა. თავისი 15-წლიანი კარიერის განმავლობაში გილმორმა თავი გამოიჩინა (იგი 1176 (381+795) ქულით ნჰლ-ის ბომბარდირთა ოცდაათეულში შედის), როგორც ჩინებულმა გამთამაშებელმა და დაცვითი ფუნქციის მარჯვე შემსრულებელმა. ჰოკეისტის 3-წლიანი კონტრაქტი სავარაუდოდ 18 მილიონ დოლარს ითვალისწინებს, მისი წასვლის შემდეგ კი ნიუ ჯერსის წამყვანი ცენტრფორვარდი ჩეხი ბობ ჰოლიკი გახდება, რომელმაც კლუბთან ახალი 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

## სან ხოსე: ვეტერანთა თავშესაფარი

სან ხოსემ ბოლო ხანს არცთუ სახელგანთქმული ვეტერანების მიწვევას მიჰყო ხელი. გამონაკლისი, როგორც ჩანს, არც წლევანდელი სეზონი იქნება, რადგან კლუბმა დეტროიტელი ბობ როუზი და ჩიკაგოელი გერი სუტერი შეიმატა, საყურადღებოა, რომ „წითელფრთიანები“ სწორედ 34 წლის როუზს უნდა უმადლოდნენ სტენლის თასის მოპოვებას, მასზე ორი წლით უმცროსი სუტერი (918 მატჩში 744 (181+563) ქულა) კი თავის დროზე უძლიერესი დარტყმით იყო ცნობილი და გარდა იმისა, რომ 1986 წელს საუკეთესო ახალბედად აირჩიეს, 4-ჯერ „ოლ სტარის“ თამაშებშიც მონაწილეობდა.

## ფილადელფიის ახალი რჩეული

აგერ უკვე მერამდენე სეზონია, ლიგის ერთ-ერთ მრისხანე კლუბ ფილადელფიას მეკარის პრობლემა ვერ გადაუჭრია, არადა, უამისოდ პლეი ოფში წარმატებაზე საუბარი ზედმეტია. საკმაოდ მაღალი კლასის, მაგრამ ძალიან ემოციური რონ ჰექსტოლი საუცხოო თამაშს აშკარა ჩავარდნას უნაცვლებს, ვერც სეზონის განმავლობაში შეძენილმა შონ ბურკმა გაამართლა მწვრთნელთა იმედი. ახლა ფილადელფიის მესვეურებს ყურადღება მთლიანად ფლორიდელი ჯონ ვანბისბრუკისკენ მიუპყრიათ. მის სასარგებლოდ (კანდიდატებად კერტის ჯოზეფი და მაიკ რიხტერიც ითვლებოდნენ) გუნდის გენერალურ მენეჯერ ბობი კლარკთან და მწვრთნელ როჯერ ნეილსონთან ადრინდელი ნაყოფიერი მუშაობაც მეტყველებს. 34 წლის მეკარე ორ წელიწადში 5 მილიონს მიიღებს, ხოლო ჰექსტოლი კიდევ ერთი წლით დარჩა კლუბში. გარდა ამისა, ევროპელთა მიმართ მუდამ სკეპტიკურად განწყობილმა „მფრინავებმა“ ორი რუსი მცველი — სერგეი კლიმენტიევი (ბუფალოდან) და დიმიტრი ტერტიშნი (რუსეთიდან), აგრეთვე მონრეალელი მარკ ბიურო შეიძინეს.

## მდიდარი „რეინჯერსის“ მორიგი სასწაულები

ფინანსურად მძლავრი „რეინჯერსის“ მომჭირნეობა ერთობ გასაკვირია, მეტიც, გუნდის საკადრო სიახლეები გარკვეულ ეჭვსაც იწვევს. ჯერ იყო და, ნიუიორკელებმა გაფართოების დრაფტზე დაკარგული მეკარე მაიკ რიხტერი დაიბრუნეს, რომელმაც წინა სეზონი აშკარად ჩააფლავა, მერე კი მობერებული ჯონ მაკლინით დაინტერესდნენ, რომლის საუკეთესო წლებიც ისტორიას ჩაბარდა (მაკლინი ნიუ ჯერსის აბსოლუტური რეკორდსმენია 934 თამაშით, 347 გოლით და 364 პასით). ამ ჰოკეისტს, რომლისთვისაც ეს მე-17 სეზონია ნჰლ-ში, 30 წლის მცველი, არაფრით გამორჩეული პეტერ პოპოვიჩიც შეუერთდა.

ასევე აღსანიშნავია „მუდმივი“ ვანკუვერელის — მცველ იურკი ლუმეს გადასვლა ფინიქსში, სადაც მას თვისტომი ტეპო ნუმინენი შეუამხანაგდება. ისიც სათქმელია, რომ ლიგის ახალი კლუბის — ნეშვილის კაპიტნად საკმაოდ საშუალო დონის მოთამაშე ტომ ფიცჯერალდი (შარშან ფლორიდასა და კოლორადოში 18 (12+6) ქულა დააგროვა) აირჩიეს, პიტსბურგში კი მეკარე რეგეტის ნაცვლად კალგარელი ტიტოვი გადაბრაგდა. რაც შეეხება სენტ ლუისს, იქ ჰალის მოვალეობის შესასრულებლად ანაჰაიმელი სკოტ იანგი მიიწვიეს.

**სამველ ლარიბიანი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:** ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29